მოსამართლეები და არასამთავრობოები კვლავ პოლიტიკურ ზეწოლაზე საუბრობენ
A5

უკვე საქართველოში
A7

სიძველეთა გამაცოცხლებელი
A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ხუთშაბათი, 8 დეკემბერი, 2005 წელი. №272 (1132) ფასი 50 თეთრი

ამბები

მედია მედიის შესახებ

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა იმერეთის რეგიონში პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულს აკაკი ბობოხიძესა და ჟურნალისტ ირაკლი იმნაიშვილს შორის მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით. გთავაზობთ მიმართვის ტექსტს.

A2

სამართალი

ადვოკატები კანონიერებისა და სამართლიანობის მოთხოვნით

სასამართლო სისტემაში ბოლო პერიოდში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციას გამოხატავენ ადვოკატები, რომლებიც ძალზე ხშირად ყოფილან დავით სულაქველიძის, ნინო გვენეტაძისა და მერაბ ტურავას "მოწინააღმდეგეები" პროცესზე.

A5

სპორტი

როცა ხუთოსნობა საკმარისი არაა...

ფაჩულიას 5 ქულა და 5 მოხსნა.

A6

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A6

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	8/12	9 /12
თბილისი	15	16
ბათუმი	19	16
სოხუმი	19	15
დმანისი	12	9
გორი	14	11
ონი	12	7
ზუგდიდი	21	18
ახმეტა	15	15
გაბრა	17	11

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7921
ევრო	2.1064
ბირვანქა სტერლ.	3.1086
რუბლი	0.0620

ამბები	A 2
ამბები	A 3
პროექტი	A 4
სამართალი	A 5
სპორტი	A 6
რევიუ	A 7
სხვადასხვა	A 8

უფრო მეტი, ვიდრე მოკავშირე

თეთრი სახლი შავი ზღვის აუზის "ამერიკანიზაციას" იწყებს

ნიკა თარაშვილი

რუმინეთის ტერიტორიაზე უახლოეს მომავალში ამერიკული სამხედრო ბაზები განთავსდება. თითქოსდა, რა არის ამაში განსაკუთრებული? - რუმინეთი ხომ უკვე წელიწადნახევარია, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი-ქვეყანაა, მაგრამ, საქმე ისაა, რომ რუმინეთში სრულფასოვანი "შესვლით" აშშ მთლიანად შავ ზღვაზე აცხადებს პრეტენზიას. როგორც ჩანს, შავი ზღვის აუზი სულ უფრო მეტ პოლიტიკურ წონას იძენს - სტრატეგიული რეგიონისთვის კი ბრძოლა ყოველთვის ღირს.

კონდოლიზა რაისის ბოლო მოგზაურობა ევროპაში ყველაზე ხანმოკლე, მაგრამ, ამავდროულად, შესაძლოა ყველაზე შედეგიანი (შეიძლება ითქვას, ისტორიულიც) აღმოჩნდეს. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ევროპაში ბლიც-ტურნეს მსვლელობისას, მართლაც, უზარმაზარ შედეგებს მიაღწია.

გაგრძელება A3 გვერდზე

კონდოლიზა რაისის ბოლო მოგზაურობა ევროპაში, შესაძლოა, ისტორიული აღმოჩნდეს.

ორფრონტიანობა პარლამენტში

სადაც ისევ გაისმა იმპიჩმენტის მოთხოვნა

გიორგი ასანიშვილი

ოპოზიცია ერთდროულად ორ ფრონტზე იბრძვის. მისი ერთი ნაწილი პარლამენტის სხდომათა დარბაზში მთავრობასა და უმრავლესობის წევრებს საბიუჯეტო თემატიკაზე ეკამათება, მეორე ნაწილი კი საკანონმდებლო ორგანოს შენობის წინ პენსიონერთა საპროტესტო აქციას "დირიჟოროობს". ოპოზიციის მსგავსად, საპარლამენტო უმრავლესობაც "პარალელურ რეჟიმში" მუშაობს.

ხელისუფლებიდან სალომე ზურაბიშვილის განდევნის შემდეგ, დეპუტატების რისხვის ობიექტად ამჯერად უკვე ფინანსთა მინისტრი ლექსო ალექსიშვილი იქცა. გუშინწინ მას დავით კირკიტაძემ შეუტია საზღვრის დაცვის დეპარტამენტის არასათანადოდ დაფინანსების გამო, გუშინ კი მინისტრს ბესო ჯუღელთან მოუხდა შეხლა-შემოხლა. ფრაქცია "მაჟორიტარის" თავმჯდომარე ლექსო ალექსიშვილის "პოზიციითა და მსოფლმხედველობით" არის უკმაყოფილო და მზადაა, მის გადაყენებას უპირობოდ დაუჭიროს მხარი. თუმცა, ფინანსთა მინისტრისადმი ნდობის ხარისხი ჯერ კიდევ მაღალია და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები ბესო ჯუღელის მოთხოვნას არ ეთანხმებიან.

როდესაც სახელისუფლებო გუნდში ჰყავს მოწინააღმდეგენი, რაღა გასაკვირია, რომ ფინანსთა მინისტრს ოპოზიციაც ემდურის. ლექსო ალექსიშვილი განსაკუთრებით ძლიერი "ჯვარედინი ცეცხლის" ქვეშ მაშინ მოექცა, როდესაც დეპუტატებს "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი წარუდგინა.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, საჯარო მოხელეებისთვის უქმდება წელთა ნამსახურევისა და საჯარო ჩინისთვის დაწესებული სახელფასო დანამატი. ამასთან, საჯარო მოხელის თანამდებობის დაკავებისთვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულებისთვის წესდება გამოსაცდელი ვადა. ამ შემთხვევაში კი, უკვე ეჭვის ქვეშ დგება თავად კონკურსების ჩატარების მიზანშეწონილობა და "უზენაესობა" - მასში გამარჯვებულს შეიძლება უთხრან - მართალია, გაიმარჯვე, მაგრამ გამოსაცდელმა ვადამ დაგვანახა, რომ ვერ ამართლებო.

გაგრძელება A2 გვერდზე

უჩინარი ქველმოქმედება

თამარ დვალი

ბოლო რამდენიმე დღეა, რაც "ნაციონალური მოძრაობის" წევრები უფასო სასადილოში რიგ-რიგობით ნაყრდებიან. მათთან ერთად მოხუცების ულუფას რაიონების ხელმძღვანელებიც იყოფენ.

"100 უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის" - ასეთია პროექტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც უფასო სასადილოები იხსნება. როგორც მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, ისინი სასადილოებს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ინიციატივით და ძალისხმევით ხსნიან.

ჩვენს კითხვაზე, თუ საიდან ფინანსდება აღნიშნული სასადილოები, პარლამენტარ ბესიკ ჯუღელს პასუხი არ აღმოაჩნდა და მან პარლამენტარ გოჩა კუპრავასთან დაკავშირება გვირჩია, კუპრავამ კი პარტიის პრესმდივანთან თემურ გრიგალაშვილთან " მიგვასწავლა ".

გაგრძელება A2 გვერდზე

ისინი კმაყოფილი არიან უჩინარი ქველმოქმედებით.

მოულოდნელი თანხმობა

რუსეთმა ქართულ გეგმას მხარი დაუჭირა

"ზოგიერთი მედიასაშუალების ცნობებისაგან განსხვავებით, სიმართლე ისაა, რომ ჩვენ საქართველოსთან შეთანხმებას მივაღწიეთ," - განაცხადა გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა. მისი განმარტებით, ეუთო-მ მიიღო დოკუმენტი საქართველოს შესახებ, სადაც განხილულია რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის, ასევე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების საკითხები.

ლავროვის თქმით, ამ დოკუმენტის მიღება მოლაპარაკების მონაწილეთა "რეალისტურმა პოზიციამ" განაპირობა. **"ძალზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მოლაპარაკება უშუალოდ რუსეთსა და საქართველოს შორის, მრჩევლების გარეშე წარიმართა,"** - განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

ლუბლიანაში, ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტზე რუსეთმა ხმა მისცა განცხადებას, რომლითაც ეუთო-ს წევრმა ქვეყნებმა საქართველოს მიერ წარმოდგენილ, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გეგმას მხარი დაუჭირეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროექტი საქართველოში

"საერთაშორისო ექსპერტთა კორპუსი", აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით, საქართველოში "მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის" განხორციელებას იწყებს. პროექტი ოთხწლიანი იქნება და მისი საქმიანობა, თბილისის გარდა, საქართველოს სხვა რეგიონებშიც - თელავში, მარნეულში, ახალციხეში, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში გავრცელდება. გუშინ საქართველოს ეროვნულ ბანკში პროექტის პრეზენტაცია გაიმართა.

ნინო ნარჩემაშვილი

პროექტის უშუალო განმახორციელებელი გუნდის გარდა, მის მუშაობაში პარტნიორი ორგანიზაციები - საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ბანკების ასოციაცია და საბანკო-საფინანსო აკადემია მიიღებენ მონაწილეობას. "საერთაშორისო ექსპერტთა კორპუსის" წარმომადგენლის პოლ მელოის განცხადებით, **"მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროექტი", საქართველოში ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიზნით, კერძო სექტორსა და მთავრობას შორის დიალოგის წარმართვის ხელშეწყობას გეგმავს, რათა ორივე მხარემ - ხელისუფლებამ და კერძო სექტორმა, ერთიანი ძალისხმევით გადაჭრან ის პრობლემები, რაც მდგრადი ეკონომიკის განვითარებას ამჟამად ხელს უშლის."**

გაგრძელება A2 გვერდზე

არალეგალური ბენზინი ჯანმრთელობას და ბიუჯეტს აზიანებს

დღეს საღამოს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში უმასპინძლებს მიღებას, რითაც "ლეგალური ნავთობპროდუქტების შესყიდვის უპირატესობების თაობაზე" მედიაკამპანიას ჩაუყრის საფუძველს. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დახმარებით, პალატის წევრებსა და ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა ასოციაციასთან თანამშრომლობით ამერიკის სავაჭრო პალატამ შექმნა სატელევიზიო რგოლები, რომელიც გადაიცემა ტელევიზიითა და თავისუფლების მოედანზე დამონტაჟებულ მონიტორზე. ამას გარდა, 300 000 ბროშურა, რომელიც საზოგადოების ჯანმრთელობაზე და გარემოზე უხარისხო ნავთობის მავნე ზეგავლენას ასახავს, გავრცელდება ქვეყნის მასშტაბით. საწვავში ბენზოლის მაღალი შემცველობა იწვევს კიბოს დაავადებას, ხოლო ტყვიის შემცველობა იწვევს გონებრივ ჩამორჩენილობას ბავშვებში. ჰაერი თბილისში, მტვრის ნაწილაკების და SO_2-ის შემცველობით, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დაშვებულ ნორმებს სამჯერ აღემატება.

გაგრძელება A2 გვერდზე

გოგა ხაინდრავა სოხუმში ვიზიტით კმაყოფილია

სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გოგა ხაინდრავა სოხუმში ვიზიტით კმაყოფილია და აცხადებს, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან გამართული მოლაპარაკებები საკმაოდ ნაყოფიერი და პოზიტიური იყო.

ხაინდრავას განცხადებით, მოლაპარაკებების მთავარი თემა უსაფრთხოების საკითხები, ასევე ზუგდიდის და გალის რაიონში ევროკომისიის მიერ შემოთავაზებული რეაბილიტაციის გეგმის განხორციელება იყო. ხაინდრავას თქმით, სოხუმში გამართულ მოლაპარაკებებზე, ფაქტობრივად, შეთანხმებულია მხარეებს შორის კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების ზონების შექმნა და ომის განუახლებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების პერსპექტივა.

ხაინდრავას განცხადებით, აღნიშნული დოკუმენტის პარაფირება შესაძლოა ახლო მომავალში მოხერხდეს. ხაინდრავას თქმით, აფხაზური მხარე შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაძლიერებასთან დაკავშირებით. თუმცა, როგორც სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, მან აფხაზურ მხარეს განუმარტა, რომ ქართული შეიარაღებული ძალების გაძლიერება აფხაზეთის მოსახლეობას არანაირ საფრთხეს არ შეუქმნის და საქართველო აფხაზურ მხარესთან რაიმე სახის სამხედრო კონფრონტაციას არ აპირებს.

ხაინდრავას თქმით, აფხაზური მხარე ყურადღებით ადევნებს თვალყურს ცხინვალის რეგიონში შექმნილ ვითარებას და საკმაოდ ზუსტი ინფორმაცია აქვს იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდება აღნიშნულ რეგიონში. ხაინდრავას თქმით, ბაღაფში იძლევა იმის გარანტიას, რომ ვითარება გალის რაიონში უახლოეს მომავალში დარეგულირებდა და იქ მცხოვრები ქართველების უსაფრთხოება დაცული და გარანტირებული იქნება.

ხაინდრავას თქმით, მას სოხუმში ვიზიტისას შეხვედრები ჰქონდა ადგილობრივ მოსახლეობასთან და მათში ქართველებთან მიმართებაში აგრესიული განწყობა შედარებით განეიტრალებულია.

ინტერპრესნიუსი

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროექტი საქართველოში

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲓᲐᲜ

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კავკასიის რეგიონის მისიის ხელმძღვანელის მოადგილის ბობ უილსონის თქმით, **"პროექტის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ბიზნესის მხარდაჭერის დამოუკიდებელი ორგანიზაციების განვითარება თბილისსა და საქართველოს რეგიონებში, რომლებიც საჭირო მომსახურებას გაუწევენ ამ სექტორს, ბიზნესასოციაციების დახმარება თვითსერთიფიცირების საკითხში და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა ქართულ ბიზნესში, ასევე მეწარმეთათვის აუცილებელი კვალიფიკაციის გაუმჯობესება ახალგაზრდებსა და ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებში."**

მნიშვნელოვანი ფაქტორი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის და მათთვის, ვისაც ბიზნესის დაწყება სურს: პოლ მელოი აღნიშნავს, რომ **"პროექტის ფარგლებში განხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც მცირე და საშუალო საწარმოებისათვის სესხებზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს"**; იგი ასევე ერთმნიშვნელოვნად აფიქსირებს, რომ საჭიროა გავიგოთ - ეს უზრუნველყოფა აუცილებელია, რადგან იგი ისევ საკრედიტო ორგანიზაციებისა და საქართველოს ეკონომიკის სარგებელს გაზრდის.

არალეგალური ბენზინი ჯანმრთელობას და ბიუჯეტს აზიანებს

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲓᲐᲜ

საზოგადოების გათვითცნობიერების კამპანიის მიზანია საზოგადოების ინფორმირება იმ არჩევანის თაობაზე, რომელიც მათ აქვთ ნავთობპროდუქტების შესყიდვების დროს. იგი აგრძელებს 2003 წელს დაწყებულ მუშაობას ნავთობპროდუქტების სფეროდან საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის მიმართულებით. ამერიკის სავაჭრო პალატა და მისი პარტნიორები ხარისხიანი ნავთობპროდუქტების არჩევანს უჭერენ მხარს, ვინაიდან ისინი უკეთესია საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის, გარემოსა და ავტომობილებისთვის. ამას გარდა, არალეგალური და არასტანდარტული შერეული ნავთობპროდუქტების მოხმარებას საბიუჯეტო შემოსავლების დანაკარგამდე მივყავართ, რაც, შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური და სოციალური პროგრამების დაფინანსების გაზრდის საშუალებას არ აძლევს.

ამერიკის სავაჭრო პალატის მისიაა მისი წევრების საერთო ეკონომიკური ინტერესებისა და ბიზნესის განვითარების საკითხებზე მათი პოზიციის წარმოჩენა. ამავე დროს, იგი მიისწრაფის, ხელი შეუწყოს საქართველოს ბიზნეს და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას და საქართველო-აშშ-ს საქმიანი ურთიერთობების ფარგლებში ეკონომიკური საკითხების კონსტრუქციულ გადაწყვეტას.

24 საათი

გიორგი ბარამიძე აშშ-ში ვიზიტს განაგრძობს

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ვიზიტით იმყოფება.

ბარამიძემ უკვე გამართა შეხვედრები თავდაცვის მდივნის მოადგილე ერიკ ედელმანთან, სახელმწიფო მდივნის თანაშემწე მეტ ბრაიზასთან, სენატორ ჩაკ ჰეგელსა და მარშალ ფონდის პრეზიდენტ კრეგ კენედისთან.

სახელმწიფო მინისტრი ატლანტიკურ საბჭოში (Atlantic Council) სიტყვით გამოვიდა. შეხვედრას იმ კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომლებიც საერთაშორისო ასპარეზზე დიდი გავლენით სარგებლობენ. აკადემიური წრეებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა საქართველოს მიმართ დიდი ინტერესი და მხარდაჭერა გამოხატეს.

სხვა მნიშვნელოვან თემებთან ერთად, შეხვედრებზე საუბარი ქვეყანაში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების საკითხებს შეეხო. როგორც სახელმწიფო დეპარტამენტში აღინიშნა, ამერიკა ქართული მხარის მიერ შემუშავებულ კონფლიქტების დარეგულირების სამშვიდობო გეგმას აქტიურად უჭერს მხარს და საქართველო სამშვიდობო გეგმის შემუშავებისა და საერთაშორისო ასპარეზზე მისი აქტიურად წარმოდგენისთვის მაღალ შეფასებას იმსახურებს.

აშშ მიესალმა მიმდინარე წლის 6 დეკემბერს ეუთოს მიერ საქართველოს შესახებ მიღებულ განცხადებას, სადაც ეუთომ სამშვიდობო გეგმის თაობაზე საქართველოსადმი სრული მხარდაჭერა გამოხატა. აღინიშნა, რომ აშშ მზად არის, IPAP-ის ეფექტური იმპლემენტაციისათვის საქართველოს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს.

შეხვედრებზე ასევე რეგიონის ენერგოუსაფრთხოების პრობლემები განიხილეს. ითქვა, რომ აშშ საქართველოს ხედვას შავი ზღვისა და, ზოგადად, მთელი ევროპის ენერგოუსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით სრულიად იზიარებს.

სენატორ ჰეგელთან შეხვედრისას გიორგი ბარამიძემ განაცხადა, რომ როგორც სამშვიდობო გეგმის, ასევე საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის მხარდაჭერის თაობაზე სენატის რეზოლუციები, რომელიც მომზადების პროცესშია, საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება.

სახელმწიფო მინისტრი შეხვდა ასევე ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაციის - ჯერმან მარშალ ფონდის პრეზიდენტს კრეგ კენედის. კენედიმ განაცხადა, რომ არასამთავრობო წრეებში საქართველოში მიმდინარე მოვლენებისადმი და, ზოგადად, შავი ზღვის რეგიონისადმი დიდი ინტერესი არსებობს. შეხვედრაზე მარშალ ფონდის მიერ საქართველოში შესაძლო გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ისაუბრეს.

ინტერპრესნიუსი

ენერგეტიკის მინისტრი "ილიჩის ნათურას" დედისფერულაშიც აანთებს

ხვალ, 9 დეკემბერს, კახეთის რეგიონს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური ეწვევა. იგი, 15-წლიანი უშუქობის შემდეგ, პანკისის ხეობის სოფელ დედისფერულას განათების პროცესს თავად დაესწრება. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ სოფელში ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანა ახმეტის რაიონის გამგეობის ხელშეწყობით მოხდა და ამისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 10 ათასი ლარი გამოიყო. ელექტროგადამცემი ხაზის აღდგენის ცერემონიალს, მინისტრთან ერთად, პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში პეტრე ცისკარიშვილი და ახმეტის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი პავლე ცაძიკიძეც დაესწრებიან.

24 საათი

ორფრონტიანობა პარლამენტში

ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲬᲧᲐᲠᲝᲓᲐᲜ

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲓᲐᲜ

ანუ, "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების ეს მუხლი კორუფციული გარიგების საკმაოდ დიდ რისკს შეიცავს.

ამას ემატება ისიც, რომ კანონპროექტის მიხედვით, დასაშვებია მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება შვებულებაში ან არაშრომისუნარიან მდგომარეობაში (ავადმყოფობის) ყოფნის დროს.

"ეს არის მონათმფლობელური ურთიერთობების აღდგენის მცდელობა," - ამბობს დეპუტატი ივლიანე ხაინდრავა.

ფინანსთა მინისტრს გუშინ პრეტენზიების მოსმენა 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებითაც მოუხდა. ოპოზიცია საყვედურებს იმის გამო გამოთქვამდა, რომ **"ბიუჯეტი გაუმჭვირვალეა და არ ჩანს, თანხები რაში უნდა დაიხარჯოს."**

"ასეთი ბუნდოვანება თავისუფლად შეიძლება იქნეს გამოყენებული კორუფციული მიზნებისთვის. გარდა ამისა, მომავალ წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდება და გამორიცხული არ არის, ბიუჯეტის ბუნდოვანი მუხლები ხელისუფლებამ ამ მიმართულებით გამოიყენოს," - თავის ეჭვებზე ხმამაღლა საუბრობს ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარე დავით ზურაბიშვილი.

თუმცა, უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის ფრონტის ხაზი დღეს არა საბიუჯეტო საკითხებზე, არამედ საპენსიო პოლიტიკაზე გადის. ამ თემის განხილვამ პარლამენტის წინ მიმდინარე პერმანენტული მიტინგებიდან გუშინ საღამოს სხდომათა დარბაზში გადაინაცვლა - დეპუტატები "სახელმწიფო პენსიის შესახებ" კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვას შეუდგნენ.

პლენარულ სხდომებზე ოპოზიცია, მიტინგებთან შედარებით, ნაკლებად რადიკალურია. თუმცა, თავის მთავარ მოთხოვნას ("პენსია სტაჟისა და დამსახურების მიხედვით") დღის წესრიგიდან მაინც არ ხსნის, რასაც ამ ეტაპზე ხელისუფლება განუხორციელებელ ამოცანად მიიჩნევს.

"დიფერენცირებული პენსიების გადახდა რომ შეძლოთ, მაშინ 45-პროცენტიანი სოციალური გადასახადი უნდა დავაწესოთ," - ოპოზიციური ლოზუნგის აბსურდულობაზე აკეთებს მინიშნებას ჯანდაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი.

"200-ლარიანი პენსიები თუ დავარიგეთ, ყველა ნათურა ჩაქრება და რუსეთის ჯარები წინ და უკან იჯლიგინებენ," - სოციალურ-პოლიტიკური ანალიზის სურათს ხატავს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე.

უჩინარი ქველმოქმედება

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲓᲐᲜ

- ბატონო თემურ, "ნაციონალური მოძრაობის" წევრების განმარტებით, უფასო სასადილოები პარტიის ინიციატივითა და ძალისხმევით იხსნება. გამოდის, რომ პარტია 100 სასადილოს თავად დააფინანსებს?

- როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტმა მიმართა ბიზნესმენებს, რომ შეძლებისდაგვარად ჩაერთონ იმ პროექტში, რომელიც "ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" შეიმუშავა. მინდა გითხრათ, რომ ამ ეტაპზე ბევრი ადამიანი გამოეხმაურა პრეზიდენტის ინიციატივას და სასადილოების გახსნა მათი მხარდაჭერით ხდება.

- ვინ არიან ეს ადამიანები და რატომ არ სახელდება მათი გვარები?

- იმ ადამიანებმა, რომლებმაც პროექტში მონაწილეობა გადაწყვიტეს, გვთხოვეს, რომ მათი ვინაობა არ გახმაურებულიყო. მიიჩნევენ, რომ ასეთი სახის ქველმოქმედებას რეკლამა არ სჭირდება.

- ერთი ადამიანი მაინც არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც თავისი ვინაობის გამჟღავნებას ისურვებდა?

- არა. რატომღაც ყველამ ასე ისურვა.

- შემოწირულობა ნებაყოფლობითია?

- რა თქმა უნდა. ჩვენ ვერავის დავაძალებთ.

- თუკი შემოწირულობა ნებაყოფლობითია, მაშინ შეიძლება, ერთ დღეს ამ ადამიანებმა დაფინანსებაზე უარი განაცხადონ. ასეთ შემთხვევაში დგება თუ არა იმის საშიშროება, რომ სასადილოები ფუნქციონირებას მალევე შეწყვეტენ?

- არა მგონია... ერთი ბიზნესმენი ერთ სასადილოზე მთლიანად კი არ იღებს პასუხისმგებლობას, არამედ - სადილის ერთ კონკრეტულ სახეობაზე. უმეტესობამ სურვილი გამოთქვა, პროგრამა ერთწლიანი ვადით დაიფინანსოს. შემდეგ სხვა გამოჩნდება და ა.შ.

- "ნაციონალებშიც" არიან ადამიანები, რომლებსაც ასევე გააჩნიათ საკუთარი ბიზნესი. რადგანაც ეს აქცია თქვენი პარტიის სახელით მიმდინარეობს, თავად "ნაციონალებიდან" რომელმა ბიზნესმენმა გამოთქვა ფინანსური მხარდაჭერის სურვილი?

- ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით... ეს არის ფონდი, სადაც ირიცხება თანხები და ფინანსური მხარე კარგად არ მაქვს შესწავლილი.

გაზეთი "24 საათი" შეეცადა, იმ ბიზნესმენთა ვინაობა დაედგინა, რომლებიც აღნიშნულ საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობენ. როგორც გაირკვა, ბიზნესმენთა ფედერაციაში ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობენ.

როგორც კომპანია "ყაზბეგში" გვითხრეს, მათ უფასო სასადილოების გახსნაში მონაწილეობა არ მიუღიათ. იგივე პასუხი მივიღეთ "თი-ბი-სი" ჯგუფისგან და კომპანია GWS-ისგან. როგორც "თელიანი ველის" გაყიდვების მენეჯერმა გიო ხუციშვილმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, მათ "კათარზისიდან" დაუკავშირდნენ და ახალი წლის შემდეგ გარკვეული პროექტის განხორციელებასაც გეგმავენ. რაც შეეხება მთელი ქვეყნის მასშტაბით უფასო სასადილოების გახსნას, ამის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნიათ.

მედია მედიის შესახებ



საქართველოს ჭელისუფლებას, ქართულ მედიას, საზოგადოებას, საერთაშორისო ორგანიზაციებს, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს.

ამერეთში პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულ აკაკი ბობოხიძესა და ჟურნალისტ ირაკლი ოძელაშვილს შორის მომხდარი ინციდენტის და ამ აქტის შეფასების თაობაზე განცხადებთ შეშფოთებას:

ნებისმიერი ფორმის ძალადობა მიუღებელია და, მით უმეტეს - როდესაც ის მიმართულია სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ.

შეშფოთებულია ის შეფასება, რაც ამ ინციდენტს მოაყოლა საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან, როდესაც მან მოიხსენიება - მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე - ღირსეულ პიროვნებად გამოაცხადა.

საჯარო პირის მიერ კანონის დარღვევა ინტერპრეტირებულ იქნა, როგორც ღირსების დაცვა.

მოვუწოდებთ, რომ ხელისუფლებამ შეასრულოს თავისი ვალდებულება კანონისა და საზოგადოების წინაშე და სამართლებრივი შეფასება მისცეს ყოფილი რწმუნებულის ქმედებას.

კონფერენციის „საუბარი ქართულ მედიაზე" მონაწილე ჟურნალისტები და სტუდენტები:

1. გიორგი გვახარია – რადიო „თავისუფლება"
2. ია ანთაძე – ჟურნალისტი
3. პაატა ჟვანიძე - „24 საათის" რედაქტორი
4. დავით კიკალიშვილი – ტელეკომპანია „რუსთავი 2"
5. ზვიად ჭორიძე – ჟურნალისტი
6. დათო პაიჭაძე – რადიო „თავისუფლება", თსუ
7. ვახტანგ კომახიძე – სტუდია „რეპორტიორი"
8. ირმა ლორია – საქართველოს პირველი რადიო
9. ნოდარ ლადარია – „24 საათი"-ის ომბუდსმენი
10. მაია მეცხვარიშვილი – „ახალი გაზეთი"-ის რედაქტორის მოადგილე
11. რეზო საყვარიშვილი – ჟურნალისტი
12. ჯონი კალანდაძე – ტელეკომპანია „იმედი"-ის საინფორმაციო პროგრამა „ქრონიკა"-ს რედაქტორი
13. დიანა ტრაპაიძე – ტელეკომპანია „იმედი"-ის ჟურნალისტი
14. ლადო გოგიაშვილი - ჟურნალისტი
15. ალეკო ელისაშვილი – რადიო „თავისუფლება"-ის ჟურნალისტი
16. ნინია კაკაბაძე –გაზეთი "24 საათი"-ის და რადიო „ამერიკის ხმის" ჟურნალისტი
17. ნუსტან ცქიტიშვილი – თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი
18. საბა წიწიკაშვილი – ჟურნალისტი
19. გოგა აფციაური – ჟურნალისტი, რადიო „თავისუფლება"
20. ეკა კვესიტაძე – ჟურნალისტი
21. შერაზ მერკვილაძე – „ტელეარხი 25"
22. გელა მთიულიშვილი – რედაქტორი - გაზეთი „იმედი"
23. რეზო ოქრუაშვილი – რედაქტორი - გაზეთი „ხალხის გაზეთი"
24. ლია იაკობაშვილი – მთავარი რედაქტორის მოადგილე გაზეთი „კვირის პალიტრა"
25. ირმა ხოიძე – ჟურნალისტი, აჭარის ტელევიზია
26. ნატა იმედაიშვილი – ჟურნალისტი, რადიო „თავისუფლება" (აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის ყოფილი უფროსი) - ბათუმი
27. ეთერ თურაძე – რედაქტორი, გაზეთი „ბათუმელები"
28. დავით აფრასიძე – ადენაუერის ფონდი წარმომადგენელი საქართველოში;

მოკლედ

"დემოკრატიული ფრონტი" საერთაშორისო მისიების წარმომადგენლებს შეხვდა

საპარლამენტო ოპოზიციური ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრებმა გუშინ საქართველოში მოქმედი საერთაშორისო მისიების წარმომადგენლებთან შეხვედრები გამართეს.

საუბრის თემა მიმდინარე წლის 2 დეკემბერს, თბილისის საკრებულოს სხდომაზე მომხდარი ინციდენტის განხილვა და შეფასება იყო.

"დემოკრატიულმა ფრონტმა" აშშ-ს საელჩოს წარმომადგენელს დებორა მილერს წერილობითი მიმართვა და ვიდეოკასეტა გადასცა, სადაც ინციდენტში მონაწილე პირები არიან დაფიქსირებული. ოპოზიციის განცხადებით, კასეტაზე აღბეჭდილი არიან "ახალგაზრდა ნაციონალები" და სპორტსმენები, რომლებმაც ოპოზიცია დაარბიეს. შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ მომავალი შეხვედრის შესახებ, რომელიც მას შემდეგ შედგება, რაც გენერალური პროკურატურის მიერ საქმის გამოძიების პირველადი შედეგები გახდება ცნობილი.

დღესვე გაიმართა შეხვედრა ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საქართველოს მისიის ხელმძღვანელთან მაიკლ კელეჰერთან და ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან იგორ გაონთან. შეხვედრებზე ქვეყნის დემოკრატიული განვითარების სფეროში არსებული სხვა პრობლემებიც განიხილეს. **ინტერპრესნიუსი**

აფხაზეთსა და ცხინვალში სატელეფონო მომსახურებას "საქართველოს ელექტროკავშირი" განახორციელებს

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სატელეფონო მომსახურებას, "საქართველოს ტელეკომის" ნაცვლად, "საქართველოს ელექტროკავშირი" განახორციელებს. როგორც საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ ნათია თურნავამ განაცხადა, დღემდე აფხაზეთში და ცხინვალში საერთაშორისო სატელეფონო მომსახურებას "საქართველოს ტელეკომი" ახორციელებდა, თუმცა მათი ინფორმაციით, კომპანია ამ რეგიონებიდან განახორციელებული ზარების საფასურის ამოღებას ვერ ახერხებდა. თურნავას თქმით, "ტელეკომში" თვლიან, რომ აღნიშნული რეგიონების მომსახურება ზარალიანია, ვინაიდან განხორციელებულ და შემომავალ ზარებს შორის ბალანსი უარყოფითია.

"რადგან "ტელეკომი" კერძო კომპანიაა, ამიტომ სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება და "საქართველოს ტელეკომს" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სატელეკომუნიკაციო კომპანია "საქართველოს ელექტროკავშირი" ჩაანაცვლებს," - განაცხადა თურნავამ. **ინტერპრესნიუსი**

აზერბაიჯანმა საქართველოს შესაძლოა, საერთაშორისო სასამართლოში უჩივლოს

შესაძლოა, აზერბაიჯანმა საქართველოს საერთაშორისო სასამართლოში უჩივლოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საქართველო აზერბაიჯანიდან ელექტროენერგიის შეძენის შედეგად დაგროვილ დავალიანებას არ დაფარავს. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო "აზერ-პრესს" სააქციო საზოგადოება "აზერენერჯის" ვიცე-პრეზიდენტმა მარლენ ასკეროვმა განუცხადა. მისი თქმით, საქართველომ ამ დღეებში აზერბაიჯანიდან 22 მლნ. კვტ/სთ ელექტროენერგიის იმპორტის შედეგად წარმოქმნილი ახალი დავალიანება დაფარა, 32 მლნ. კვტ/სთ ოდენობის ძველი ვალი კი დაუფარავი რჩება.

როგორც ასკეროვმა აღნიშნა, საქართველოსთან ამჟამად მიმდინარე მოლაპარაკებები სწორედ ძველ ვალს უკავშირდება. მისივე თქმით, აზერბაიჯანული მხარე გაყიდული ელექტროენერგიის საფასურის დაბრუნებას მოითხოვს. **"ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ჩვენ სხვა მეთოდებს მივმართავთ,"** - განაცხადა მარლენ ასკეროვმა. **ინტერპრესნიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს პარლამენტის შენობასთან დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემიიდან დათხოვნილმა კურსანტებმა შიმშილობის აქცია შეწყვიტეს.

კურსანტებმა ეს გადაწყვეტილება პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილთან შეხვედრის შემდეგ მიიღეს. როგორც კურსანტებმა განაცხადეს, განათლების კომიტეტის თავმჯდომარე მათ საკითხის დადებითად გადაწყვეტას დაჰპირდა.

საქართველოს განათლების სამინისტრომ გუშინ უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულების რექტორებს სპეციალური მიმართვები გაუგზავნა, რომლის საფუძველზეც მათ თავდაცვის ეროვნული აკადემიის სტუდენტების მიღება უნდა განახორციელონ. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

მოულოდნელი თანხმობა

პირველი გვერდიდან

იმის მიუხედავად, რომ წინა დღეებში რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ წარმოდგენილი გეგმა გააკრიტიკა, ხოლო თავად ლავროვი ამ გეგმის დაზუსტებასა და მიხეილ სააკაშვილის მიერ გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე ჩამოყალიბებულ პრინციპებთან მისადაგებას მოითხოვდა, შეთანხმება მაინც შედგა.

"რუსეთმა სამხრეთ ოსეთი დათმო", "რუსეთმა დაუთმო საქართველოს", "საქართველომ რუსეთზე გამარჯვებას მიაღწია," - ამგვარი შეფასება რუსული სააგენტოების სათაურებსა და ტექსტებში გაჟღერდა. ამის დასადასტურებლად მათ ქართული სამშვიდობო გეგმის ის პუნქტები მოჰყავთ, სადაც შერეული საკონტროლო კომისიის საქმიანობის ფორმატის შეცვლაზე და მის მუშაობაში აშშ-სა და ეუთო-ს წარმომადგენელთა ჩართვაზეა საუბარი. ანუ საქართველო სამშვიდობო პროცესში რუსეთისა და მის მიერ მართული ოსური მხარის პირისპირ მარტო აღარ იქნება.

თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, შევიდა თუ არა რაიმე ცვლილება თავად სამშვიდობი გეგმაში, და ჩაიდო თუ არა ამ რუსულ-ქართულ შეთანხმებაში რაიმე ახალი "ნაღმები" რუსეთის მიერ. დათმო თუ არა საქართველომ რაიმე მიღწეული შეთანხმების სანაცვლოდ, თუ ეს გადაწყვეტილება მხოლოდ რუსეთზე მასირებული საერთაშორისო ზეწოლის შედეგია?

ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთი იძულებული გახდა, საქართველოს სამშვიდობო გეგმისათვის ღიად დაეჭირა მხარი. თუმცა გეგმის ბოლომდე განხორციელებისათვის ქართულ დიპლომატიას კიდევ ბევრი ძალისხმევა დასჭირდება.

24 საათი

ეუთო-ს მნიშვნელოვანი განცხადება

სლოვენიის ქალაქ ლუბლიანაში, ეუთო-ს წევრი ქვეყნების მინისტრთა საბჭოს მე-13 სხდომაზე საქართველოს შესახებ განცხადება მიიღეს. მიღებული განცხადებით, ეუთო მხარს უჭერს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საქართველოს მთავრობისეულ გეგმას, საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ბაზების გაყვანასა და ეუთო-ს მიერ საზღვრის დაცვის დეპარტამენტისთვის ტრენინგისა და დახმარების პროგრამას.

ნათია მსხილაძე

ეუთო-ს მინისტრთა საბჭო მხარეებს მოუწოდებს, ზედმიწევნით განხორციელდეს ცხინვალის რეგიონში მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით მიღწეული შეთანხმებები, კერძოდ, კონფლიქტის ზონის დროული და სრული დემილიტარიზაცია. **"ჩვენ მივესალმებით საქართველოს მიერ ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის მიზნით წარმოდგენილ ინიციატივებს. თუმცა, სინანულს გამოვთქვამთ გასულ თვეებში განხორციელებული ძალისმიერი ქმედებების შედეგად სამშვიდობო პროცესის მშვიდობიანი დინამიკის შეფერხების გამო და ვადასტურებთ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების იმ პრინციპების სრულად განხორციელების მნიშვნელობას, რომლებიც გათვალისწინებულია 1992 წლის 24 ივნისის სოჭის შეთანხმებით,"** - ნათქვამია განცხადებაში.

ეუთო-ს მინისტრთა საბჭო, სამშვიდობო პროცესის გაძლიერების თვალსაზრისით, მხარს უჭერს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის შეხვედრას სამხრეთ ოსეთის ლიდერთან. **"ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მხარეს, ხელი შეუწყონ დიალოგის წარმართვას, რათა ყველა დონეზე გააძლიერონ თავიანთი ძალისხმევა პოლიტიკური მოლაპარაკებებისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პროცესის ხელშეწყობის მიზნით. ამ კონტექსტში ჩვენ გამოვხატავთ კმაყოფილებას ეუთო-ს, ევროკავშირის, გაერო-ს ლტოლვილთა სააგენტოსა და გაერო-ს განვითარების პროგრამას შორის მიმდინარე ოთხმხრივ თანამშრომლობასთან დაკავშირებით, რომელიც ხორციელდება კონფლიქტის ზონაში რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში ევროპის კომისიის დაფინანსებით და მიზნად ისახავს დაბრუნებისათვის შესაბამისი პირობების მომზადებას,"** - ნათქვამია განცხადებაში.

ეუთო-ს მინისტრთა საბჭო 30 მაისს მოსკოვში, რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივ განცხადებას მიესალმება. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, "ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზებისა და საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის სამხედრო ობიექტების მოქმედების ვადების, ფუნქციონირების წესისა და გაყვანის შესახებ" შეთანხმებას ხელი მოკლე ვადებში უნდა მოეწეროს. **"ჩვენ მივესალმებით საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის მძიმე ტექნიკის ნაწილის გატანას. იმედი გვაქვს, მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესში მიიღწევა შემდგომი პროგრესი, რაც შესაძლებელს გახდის გუდაუთაში მრავალეროვნული მისიის ამოქმედებას და მისი მიზნის განსაზღვრას,"** - ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ლუბლიანაში გამართულ ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომაზე მიღწეული შეთანხმებით კმაყოფილია. ამის შესახებ განცხადებას ნოღაიდელი მთავრობის სხდომაზე აკეთებს.

"სამი წლის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა კონსენსუსის მიღწევა. გუშინ კი საქართველოსთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნა მიღებული. რუსეთი ეუთოს წევრი ქვეყანაა და იმედია, აღნიშნული გეგმის შესრულებაზე ერთობლივად აქტიურად ვითანამშრომლებთ," - აცხადებს ზურაბ ნოღაიდელი.

რეიტინგი საქართველოს

საერთაშორისო კომპანია "Standard & Poors"-მა საქართველოს გრძელვადიანი სუვერენული რეიტინგი მიანიჭა. როგორც პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, დამოუკიდებლობის ისტორიაში საქართველოს პირველად მიენიჭა აღნიშნული რეიტინგი.

საერთაშორისო კომპანია "Standard & Poors"-მა საქართველოს მოკლევადიან საკრედიტო რეიტინგებში B კატეგორია, ხოლო გრძელვადიან საკრედიტო რეიტინგებში B+ კატეგორია მიანიჭა.

"მიუხედევად იმისა, რომ საქართველოში ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა არსებობს და ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას საკმაოდ ხანმოკლე ისტორია აქვს, სარეიტინგო სააგენტომ მაინც კარგი შეფასება მოგვცა. საქართველოს მეზობელ თურქეთს და უკრაინას საქართველოზე მხოლოდ ნახევარი ნაბიჯით უკეთესი BB რეიტინგები აქვთ," - განაცხადა გუშინ ზურაბ ნოღაიდელმა. მისივე შეფასებით, რეიტინგის მიღებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის გაზრდისთვის. **"სუვერენული რეიტინგის მიხედვით, ინვესტორს შეუძლია შეაფასოს, რამდენად მდგრადია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური მდგომარეობა, რამდენად შეუძლია აღებული სესხების მომსახურება და როგორია ქვეყანაში დეფოლტის რისკი,"** - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

სახელმწიფო მინისტრი ეკონომიკური რეფორმების საკითხებში კახა ბენდუქიძე საქართველოს, დაახლოებით 10 წელიწადში, AAA რეიტინგის მიღებას უსურვებს, რაც, მისი თქმით, ამჟამად მხოლოდ რამდენიმე მაღალგანვითარებულ ქვეყანას აქვს მინიჭებული. **"ქართველი ბანკირები საქართველოს მიერ სუვერენული რეიტინგის მიღებას ერთმანეთს ულოცავდნენ, რადგან ეს მათთვის უცხოურ კრედიტებზე ხელმისაწვდომობის ზრდას ნიშნავს. ეს კი, თავის მხრივ, დადებითად იმოქმედებს ქართულ სებანკო სექტორზე, კრედიტების გაიაფების თვალსაზრისით,"** - განაცხადა ბენდუქიძემ.

ექსპერტების შეფასებით, უფრო მაღალი რეიტინგის მიღებას ისეთმა ფაქტორებმა შეუშალა ხელი, როგორებიცაა დაბალი ლიკვიდურობა საზღვარგარეთ, ინფლაციის მაღალი ტემპი, ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე, გაუმართავი ინსტიტუციური მოწყობა და პოლიტიკური არასტაბილურობა, რაც რეგიონულ კონფლიქტებში გამოიხატება. ეს უკანასკნელი პრობლემა კი აფერხებს რეფორმების განხორციელებას და რეგიონით ინვესტორთა დაინტერესებას.

24 საათი

უცნობი თავისუფლება

გადაცემის სტუმარია ისტორიკოსი ბუბა გუდავა

ალექსანდრე ელისაშვილი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილ ვითარებაზე და იქ არსებულ პრობლემებზე ვისაუბროთ. რატომ დატოვა საუნივერსიტეტო წრეებში ცნობილმა კაცმა ბუბა გუდავამ სახელმწიფო უნივერსიტეტი?

ბუბა გუდავა: ეს არის პროტესტის ერთგვარი ფორმა. პროტესტის ამ ფორმამდე თვეების განმავლობაში მივდიოდი. ეს ყველაფერი იმ საკონკურსო პროცესს უკავშირდება, რომელიც დღეს ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე მიმდინარეობს. და ჩემი პროტესტით მინდოდა, ამ პროცესს გავმიჯნოდი.

ალექსანდრე ელისაშვილი: რა მიმდინარეობს ახლა და რას გსურთ გაემიჯნოთ?

ბუბა გუდავა: ჩემთვის მიუღებელია ის, რომ ამოვეფაროთ რეფორმის სახელს და რეალურად რეფორმა არ გავატაროთ. ან ნუ ვცვლით ნურაფერს, და ნელ-ნელა, ეტაპობრივად ვცვალოთ. და ეს ხმამაღლა ვთქვათ: რომ რიგი საკითხების გადაუჭრელობის გამო - მაგალითად, სახელფასო საკითხის - დროებით იგივე სისტემას ვტოვებთ, იგივე კონტინგენტს, იგივე მიდგომებს. და ნელ-ნელა, ეტაპობრივად ვცვალოთ. ხოლო, თუკი ამას რეფორმას ვარქმევთ, უნდა იყოს რეფორმა.

ალექსანდრე ელისაშვილი: ახლა რაც მიმდინარეობს, არ არის რეფორმა?

ბუბა გუდავა: არსებითად, ეს პროცესი არაფერს შეცვლის. მე მხედველობაში მაქვს ჰუმანიტარული ფაკულტეტი. ფაკულტეტზე ეს პროცესი არაფერს არ შეცვლის, პირიქით, გარკვეულ ადგილებში, მაქვს ეჭვი, რაღაცეებს საზიანოდ შეცვლის, და გარკვეულ ადგილებში გარკვეულ ცვლილებებს პიროვნებებს მოარგებს.

ალექსანდრე ელისაშვილი: კონკრეტულად, ვის მოერგება ეს სტრუქტურა?

ბუბა გუდავა: ჰუმანიტარულ ფაკულტეტში გაერთიანდა ისტორიის, ფილოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტები, ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტის ფილოსოფიის ნაწილი და ხელოვნების ფაკულტეტი. საკმაოდ სოლიდური ფაკულტეტი ჩამოყალიბდა, სერიოზული პოტენციალით და სერიოზული პერსპექტივებით, თუკი ამ პერსპექტივებს კარგად გამოვიყენებთ. ხანდახან სპეკულირებენ ასაკობრივ მომენტზე. ვინაიდან მე ახალგაზრდა ვარ, ჩემს პროტესტს ისე წარმოაჩენენ, თითქოს მე ასაკოვანი უნივერსიტეტელების გაყრა მინდოდა. ამას თითქოს წინ გადაეღობა ჩვენი ფაკულტეტის დეკანი, და ეს კონფლიქტი აქამდე დაჰყავთ. არა, იქნება ეს ახალგაზრდა თუ ასაკოვანი, რომელიც თავის საქმეს არ აკეთებს (ასეთები კი, სამწუხაროდ, მრავლად არიან), რომლებიც ელემენტარულად ლექციას არ ატარებენ, საქმეზე არ საუბრობენ, სტუდენტთა ობიექტურ შეფასებას არ ახდენენ. რომელთა მიერ დაწერილი ნიშნების ძალიან დიდი წილი არის პროტექციის შედეგი - აი, ასეთი თანამშრომლები მაქსიმალურად უნდა ჩამოშორდნენ უნივერსიტეტს. და მათი ადგილი დაიკავონ გაცილებით ღირსეულებმა, რომლებიც, საბედნიეროდ, მრავლად არიან უნივერსიტეტში. ან სხვა პოზიცია აქვთ, ან არიან პროფესორები, დოცენტები... ან არის მეცნიერებათა კანდიდატი, მაგრამ ლექციები რატომღაც არ აქვს. ამ დროს, უფრო ხარისხიანი ლექციის ჩატარება შეუძლია, ვიდრე რომელიმე დოცენტს, ან პროფესორს. საჭიროა გარკვეული ცვლილებები, რომლებიც ორიენტირებული იქნება სტუდენტებზე. მე დავინახე, რომ ამ პროცესის უკან დგას სურვილი - ეს ყველაფერი ორიენტირებული იყოს არსებულ თანამშრომლებზე. მაგალითად, იგივე სასწავლო პროგრამები. ხშირად პროგრამები მორგებულია არა სტუდენტებზე, არამედ თანამშრომლებზე. ანუ სტუდენტს ეკითხება არა ის საგანი, რომელიც მას სჭირდება, არამედ ის საგანი, რომელიც იცის მისმა ლექტორმა.

მოკლედ

უფრო მეტი, ვიდრე მოკავშირე

პირველი გვერდიდან

გუშინ ხელი მოეწერა შეთანხმებას რუმინეთის ტერიტორიაზე ერთდროულად ოთხი ამერიკული ბაზის განთავსების შესახებ.

დღის მანძილზე მან მოასწრო ბერლინში გერმანიის ახლადარჩეულ კანცლერთან "დაახლოება"; ბუქარესტში ამერიკული სამხედრო ბაზების განთავსებაზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღწევა; გუშინ კიევში იუშჩენკოსა და საერთოდ "ნარინჯისფერთა" გამხნევება (რასაც, სხვათა შორის, პუტინის რუსეთის კრიტიკა სდევდა ფონად). ხოლო დღეს ბრიუსელში ნატო-ელ კოლეგებთან ერთად გამართავს შეხვედრებს.

გუშინ ხელი მოეწერა შეთანხმებას რუმინეთის ტერიტორიაზე ერთდროულად ოთხი ამერიკული ბაზის განთავსების შესახებ. სავარაუდოდ: ისინი განთავსდება "მიხაილ კოგალნიჩეანუს" სამხედრო აეროდრომზე (შავ ზღვასთან), ბაბადაღში (დუნაის დელტა), ასევე ამერიკელები გამოიყენებენ რუმინულ სამხედრო პოლიგონებს სამრდანესა და ჩინკუში.

გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკის ახალი სამხედრო ბაზები რუმინეთში უფრო მცირე იქნება, ვიდრე, ვთქვათ, გერმანიაში. თუმცა, ეს ფაქტი არამც და არამც არ ამცირებს მათ მნიშვნელობას.

მაინც რა როლი დაეკისრებათ რუმინეთში განლაგებულ ამერიკულ სამხედრო ბაზებს?

საგულისხმოა, რომ ცივი ომის პერიოდში აშშ-ს შავი ზღვის აუზში არასოდეს ჰყოლია დიდი ოდენობით სამხედრო ძალები განლაგებული. ნატო-ს წევრი თურქეთის ძალისხმევა რეგიონში სტაბუს-კვოს შესანარჩუნებლად სრულიად საკმარისი იყო.

დღეს, როდესაც ობიექტური მიზეზების გამო, აღარც მოწინააღმდეგეა იგივე და მიზნებიც განსხვავება ოცი წლის წინანდელისგან, აშშ-მ აღმოაჩინა, რომ თავისუფლად შეუძლია შავი ზღვის რეგიონში გაცილებით აქტიური მოთამაშე გახდეს, უფრო მეტიც, შეუძლია მთლიანად გადააქციოს იგი თავის ყველაზე მძლავრ დასაყრდენად ევრაზიის კონტინენტზე.

ამ მიმართულებით ვაშინგტონში ბოლო დროს რესპუბლიკელთა მმართველობის მანძილზე განსაკუთრებით გააქტიურდა მუშაობა, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ არც დემოკრატთა სტრატეგია განსხვავდება დიდად მმართველი პარტიის პოზიციისგან.

ჯერ კიდევ 2004 წელს ბუშის ადმინისტრაციამ გააკეთა განცხადება ევროპაში ბაზირებული ჯარების დისლოკაციის შეცვლის შესახებ. მარტივად რომ ვთქვათ, ამერიკელები თავისი ტრადიციული "ადგილსამყოფელიდან" (დასავლეთ ევროპა და ჩრდილო-აღმოსავლეთ აზია) "ცხელი წერტილებისა" და, შესაბამისად ნავთობის სიახლოვეს (ჯორჯ ბუშის განცხადებით, ფართო ახლო აღმოსავლეთი აშშ-ს სასიცოცხლო ინტერესების სფეროში შედის) ინაცვლებენ.

მაგალითად, პენტაგონის გათვლით, ევროპაში ამერიკელ სამხედროთა რიცხვი 112 ათასიდან 50 ათასამდე უნდა შემცირდეს. ასევე დაგეგმილია ჯარების რიცხოვნობის შემცირება ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაშიც.

ახალი სტრატეგიის შესაბამისად, სამხედრო ბაზების ახალი გრადაციაც შემუშავდა - ამიერიდან ამერიკას ექნება სამი ტიპის სამხედრო ბაზები:

ძირითადი ოპერატიული ბაზები (Main Operating Bases), რომლებიც ძველ მსხვილ ბაზებს თანხვდება ევროპაში (მაგალითად, როგორიცაა რამშტეინი გერმანიაში, ან ავიანო იტალიაში). ამ ბაზებმა ბოლოდროინდელ კრიზისებში გადამწყვეტი როლი შეასრულეს, ასე რომ, მათი გაუქმების გადაწყვეტილება მეტისმეტად ნაადრევია.

მოწინავე ოპერატიული ბაზები (Forward Operating Sites) - კრიზისული წერტილების საზღვრებთან მდებარე ავანპოსტები. აქ ყოველ წელიწადნახევარში მოხდება მსუბუქი დივიზიების ადგილობრივ სამხედროებთან ერთობლივ წვრთნებს განახორციელებენ. ტრადიციული სამხედრო ბაზებისგან განსხვავებით, ამ ბაზებზე არ იცხოვრებენ მოსამსახურეთა ოჯახები, რაც, პენტაგონის გათვლით, მნიშვნელოვნად შეამცირებს შენახვის ხარჯებს (თუ გავრცელებულ ცნობებს დავეყრდნობით, სწორედ ასეთი კატეგორიის ბაზები განთავსდება რუმინეთში).

კოლექტიური უსაფრთხოების პუნქტები (Cooperative Security Locations) - კარგად აღჭურვილი სამხედრო ბაზა შესაბამისი ინფრასტრუქტურით, რომელიც მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში იქნება გააქტიურებული. მათი შენახვა თავისუფლად შეიძლება ადგილობრივ სამხედრო დანაყოფებთან შეთანხმებით (რაღაც ამის მსგავსი საქართველოში უკვე არსებობს თურქების მიერ აღდგენილი მარნეულის ავიაბაზის სახით).

ახალი სტრატეგიისთვის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ საქართველოსთვის მისი უაღრესად დიდი მნიშვნელობა აღმოაჩინო. შავი ზღვის აუზზე დამკვიდრებით აშშ თავის (სიტყვით და საქმით) მოკავშირე საქართველოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენი ნატო-ში გაწევრიანების პერიოდი გაიწელა, უსაფრთხოების მკაფიოდ შესამჩნევი გარანტი იქნება.

თეთრმა სახლმა შავი ზღვის აუზის "ამერიკანიზაციის" სტრატეგია ყველასთვის გასაგებად ჩამოაყალიბა და აქტიურადაც იწყებს მის განხორციელებაზე ზრუნვას. თუმცა, მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრული სტრატეგია აპრიორი არ გულისხმობს, რომ ის აუცილებლად განხორციელდება - აშშ-ს გარდა რეგიონში უკვე არსებობს რუსეთისა და თურქეთის ფაქტორები. მომავალში შესაძლოა, გამოიკვეთოს ევროპის პოზიციაც, რომელიც, სავარაუდოდ, ევროკავშირში მიღების ცდუნებით თურქეთის გადაწყვეტილებებზეც მოახდენს გავლენას. ასე რომ, უახლოეს მომავალში შავი ზღვისთვის "სტრატეგიული ბრძოლის" დაწყებას უნდა ველოდოთ.

კოსოვო - ახალი სახელმწიფო ევროპაში?

რთული მოლაპარაკებების მოლოდინი და "მოსაზრებათა კაკაფონია" ევროკავშირში

ხათუნა გაბიევი

ევროპაში ახალი სრულფასოვანი სახელმწიფოს გაჩენის პერსპექტივაზე კოსოვოში ვიზიტით მყოფმა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში უმაღლესმა წარმომადგენელმა ხავიერ სოლანამ ისაუბრა, თუმცა, იქვე აღნიშნა, რომ მოლაპარაკებების პროცესი არცთუ ისე მარტივი იქნება. საამისოდ, რასაკვირველია, აუცილებელია, რომ ახალმა სახელმწიფომ ევროპული ფასეულობების ერთგულება დაამტკიცოს. სოლანა ბალკანური ტურნეს ფარგლებში კოსოვოს პრეზიდენტს იბრაჰიმ რუგოვას შეხვდა, რომელმაც, თავის მხრივ, მზადყოფნა გამოთქვა, შეასრულოს ყველა ის მოთხოვნა, რომელსაც მას ევროკავშირი წარუდგენს.

"კოსოვოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შემთხვევაში ოფიციალური პრიშტინა მზადაა, ეროვნული უმცირესობების უსაფრთხოება დაიცვას და იქონიოს კეთილმეზობლური ურთიერთობები მოსაზღვრე სახელმწიფოებსა და აშშ-სთან. ჩვენ თქვენი მხარდაჭერის იმედი გვაქვს," - განაცხადა კოსოვოს სახელმწიფო მეთაურმა.

გარდა ამისა, რუგოვამ ისაუბრა ევროპულ სტრუქტურებსა და ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივებზეც.

ევროკავშირის უმაღლესი კომისარი კი სარაევოში წასვლამდე კოსოველ სერბებსაც შეხვდა. შეხვედრაზე სოლანამ მათ დემოკრატიული სტანდარტების დაცვისა და კოსოვოს დეცენტრალიზაციის იდეის რეალიზაციის გეგმაზე ესაუბრა. სერბები პოზიციებს არ ცვლიან და კოსოვოსთვის სუვერენული სახელმწიფოს სტატუსის მინიჭების წინააღმდეგ გამოდიან.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კოსოვოს საბოლოო სტატუსთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა სოლანას ბალკანური ტურნეს დაწყებამდე ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებშიც კიდევ ერთხელ გამოვლინდა. ექსპერტთა თქმით, ევროკავშირის საერთო პოზიციიდან განსხვავებული მიდგომა ამ საკითხის მიმართ ჩეხეთს, სლოვენიას, ესპანეთს, საბერძნეთსა და იტალიას აქვთ.

ევროკავშირის წევრი ქვეყნები ჯერ კიდევ ივნისში შეთანხმდნენ, რომ კოსოვოს მომავალი სტატუსი გაერო-ს ფორმატით, სერბებისა და კოსოველი ალბანელების მოლაპარაკებების შედეგად უნდა გადაწყვეტილიყო. ევროკავშირის მიერ წაყენებული პირობები სერბი ეთნიკური უმცირესობის უფლებების დაცვას ითვალისწინებს. გარდა ამისა, არ უნდა მოხდეს ტერიტორიული დაყოფა და 1999 წლის მარტის სტატუსის დაბრუნება, როდესაც კოსოვო უშუალოდ ბელგრადიდან იმართებოდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც გაერო-ს სპეციალურმა წარმომადგენელმა მარტი აჰთისაარმა ბელგრადსა და პრიშტინასთან მოლაპარაკებები დაიწყო, ჩეხეთის პრემიერ-მინისტრი კოსოვოს დაყოფის ინიციატივით გამოვიდა.

"კოსოვოს დაყოფა ეთნიკური ნიშნის მიხედვით საუკეთესო გამოსავალი იქნება. ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი სერბეთს დარჩება, ხოლო სამხრეთ რეგიონის დიდ ნაწილს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი მიენიჭება," - განაცხადა ჩეხეთის პრემიერ-მინისტრმა ჟირი პარუბეკმა.

თუმცა, როგორც თავად ევროპელი დიპლომატები აღნიშნავენ, ჩეხეთის ეს დამოკიდებულება ევროკავშირის საერთო პრინციპებიდან მნიშვნელოვანი გადახვევაა და ეწინააღმდეგება სლოვენიის პრეზიდენტის იანეშ დრნოვსეკის ინიციატივას განუყოფელი კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. მაგრამ აქვე ალბათ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სლოვენიის პრეზიდენტის ინიციატივას თავის დროზე მოწონებით პოლიტიკური ელიტა არც ქვეყნის შიგნით შეხვედრია. როგორც სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, დრნოვსეკის პოზიცია მთლიანად სლოვენიის მთავრობის მიდგომას სულაც არ ასახავს.

ასეა თუ ისე, ზოგადად ევროპელი დიპლომატები ჩეხეთის მიდგომას ზემოაღნიშნული საკითხისადმი სახიფათოდ მიიჩნევენ. ასეთი პრეცედენტის გაჩენამ მართლაც შეიძლება სერიოზულ პრობლემად უქციოს რიგ ევროპულ სახელმწიფოებს მათ ტერიტორიებზე არსებული მეტ-ნაკლებად მტკივნეული დავა ეთნიკურ ნიადაგზე. კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შემთხვევაში თუ ესპანეთს ბასკური პრობლემა აღელვებს, იტალიას მომავალში კოსოვოს "არშემდგარ სახელმწიფოდ" გადაქცევა აფრთხობს, რადგან ოფიციალურ პრიშტინასთან მჭიდრო პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კავშირებმა შესაძლოა, იტალიაში ლტოლვილთა დიდი ნაკადის გადასვლა გამოიწვიოს.

მოლაპარაკებები კოსოვოს საბოლოო სტატუსთან დაკავშირებით მომავალი წლის იანვარში დაიწყება. მას გაერო-ს წარმომადგენელი, ფინეთის ყოფილი პრეზიდენტი მარტი აჰთისაარი გაუძღვება, ევროკავშირის ინტერესებს კი ხავიერ სოლანას უახლოესი თანამოაზრე შტეფან ლენე დაიცავს, სერბული გუნდის თანათავმჯდომარეები პრეზიდენტი ბორის ტადიჩი და პრემიერ-მინისტრი ვოისლავ კოშტუნიცა იქნებიან. ეს იქნება საკმაოდ დაძაბული და პერიპეტიებით აღსავსე მოლაპარაკებები, რაც შესაძლოა, წელიწადზე დიდხანს გაგრძელდეს, ხოლო ევროკავშირსა და აშშ-ს დაპირისპირებული მხარეების დასახმარებლად "სანავიგაციო დიპლომატიის" (Shuttle diplomacy) გაგრძელება მოუწევთ. მედიატორთა ჯგუფი 6 სახელმწიფოსაგან შედგება - აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია და იტალია.

პირველი სარჩელი ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის წინააღმდეგ

ნანა ნასყიდაშვილი

აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის არალეგალურ ქმედებათა ერთ-ერთი მსხვერპლი, ჰალედ მასრი აღნიშნული ორგანიზაციის ყოფილ ხელმძღვანელს ჯორჯ ტენეტს სასამართლოში უჩივის. დაზარალებულის თქმით, ის 2003 წელს მაკედონიიდან გაიტაცეს, სადაც ის აშშ-ს სამოქალაქო უფლებების დამცველი ორგანიზაციის (ACLU) ეგიდით გამართულ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად იყო ჩასული. საგულისხმოა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის უკანონო ქმედებათა წინააღმდეგ სარჩელი ქალაქ ალექსანდრიის (შტატი ვირჯინია) სასამართლოში დაზარალებული მასრის სახელით სწორედ აღნიშნულმა ორგანიზაციამ შეიტანა. სარჩელში აღნიშნულია, რომ 42 წლის მასრის გატაცებით ჯორჯ ტენეტიმ და ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის სხვა ხელმძღვანელმა პირებმა საერთაშორისო კანონისა და ადამიანის უფლებების პარალელურად, საკუთრივ აშშ-ს კანონმდებლობაც დაარღვიეს. **"უცხო ქვეყნის მოქალაქის დაკითხვის მიზნით გატაცება სერიოზული კანონდარღვევაა, რომელიც თვით აშშ-ს ღირებულებებსაც უპირისპირდება,"** - აღნიშნა ACLU-ს აღმასრულებელმა დირექტორმა ენტონი რომერომ. მასრის თქმით, მას ჯერ კიდევ ავღანეთში ჩაყვანამდე ფიზიკურად უსწორდებოდნენ და ნარკოტიკებსაც უკეთებდნენ. ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელობის ბრძანებით, გატაცებული ჰალედ მასრი ავღანეთში ხუთი თვის განმავლობაში ჰყავდათ დაკავებული. დაზარალებულის თქმით, პატიმრობის პერიოდში მას ხანგრძლივ დაკითხვებს უწყობდნენ და არაადმიანურად ეპყრობოდნენ.

გერმანიის მოქალაქე, წარმოშობით ლიბანელი ჰალედ მასრი ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურს ფულადი კომპენსაციის სახით 75 ათას აშშ დოლარსა და საჯაროდ ბოდიშის მოხდას სთხოვს. ნიშანდობლივია, რომ აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის უკანონო ქმედებების წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში აქამდე არავის შეუტანია.

საგულისხმოა, რომ მასრის გატაცების თაობაზე საუბარი ცოტა ხნის წინ ბერლინში მყოფ აშშ-ს სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს გერმანიის კანცლერთან ანგელა მერკელთან ჰქონდა. მერკელის თქმით, აშშ აღიარებს თავის შეცდომას და აღნიშნული პიროვნების დაკავების უკანონობას. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, მხარეები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სადაზვერვო სამუშაოების ჩატარებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ოფიციალურ ვაშინგტონს აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის უკანონო ქმედებათა და სხვა ქვეყნებში საიდუმლოდ განთავსებული ციხეების გარშემო დაწყებული სკანდალის სერიოზული გართულებების გარეშე მოგვარების იმედი აქვს. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები პროტესტს აშშ-ს ხელისუფლების მიერ, ტერორიზმში ეჭვმიტანილ პატიმართა განვითარებად ქვეყნებში განთავსების თაობაზეც გამოთქვამენ. თუმცა, კონდოლიზა რაისი თავისი ქვეყნის მთავრობის ამგვარ პოლიტიკაში არალეგალურს ვერაფერს ხედავს.

1

იურიდიული ოფისი **„გაპი"** და გაზეთი **"24 საათი"**

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც ნარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, აგვსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყუთები განთავსებული არიან ძალაძ თბილისში მეტროს ძველმოედანთან სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური ,,ახმეტელის თეატრი" (ცენტრი);
2. მეტროს სადგური ,,მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური ,,თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური ,,წერეთელი";
5. მეტროს სადგური ,,სამგორი II";
6. მეტროს სადგური ,,ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური ,,გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური ,,დელისი");
8. მეტროს სადგური ,,ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური ,,დიდუბე";
10. ვაჟაფშაველას 45 "სოფმშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი ძგაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

უფასო იურიდიული კონსულტაცია

"24 საათის" მკითხველისთვის

გიორგი ებრალიძე
გთხოვთ, გაგვიმარტოთ:
1. სამეთვალყურეო საბჭო შედგება 3 წევრისაგან. საბჭოს 1 წევრი გადადგა. არის თუ არა საბჭო უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება ახალი წევრის არჩევამდე?
2. მიმდინარე წლის 30 ოქტომბერს გაზეთ "24 საათში" შევიტანეთ განცხადება სააქციო საზოგადოება "მეგობრობის" აქციონერთა კრების ჩატარების თაობაზე. კრება, რომელიც დანიშნულ იქნა 28 ნოემბერს, არ შედგა, მოტივად მოყვანილი იქნა ის ფაქტი, რომ "24 საათს" აღარ აქვს მსგავსი განცხადებების გამოქვეყნების უფლება, რამდენად კანონიერია ეს?

ბატონო გიორგი,
"მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-15 მუხლის, 54-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 55-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილების თანახმად:

მუხლი 15. ხანდაზმულობა. გასაჩივრების ვადები

15.1. ამ კანონის მიხედვით, პრეტენზიების ხანდაზმულობის ვადა არის ხუთი წელი მათი წარმოშობიდან, საზოგადოების ლიკვიდაციიდან ან პარტნიორის გასვლიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს.

15.2. დაუშვებელია პარტნიორთა კრების, საერთო კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის გასვლის შემდეგ.

მუხლი 54. საერთო კრება

54.2. საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების წიგნში შეტანილ უკანასკნელ იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ სხვა

ადგილზე 20 დღის ვადაში დირექტორების მიერ ბეჭდვით ორგანოში გამოცხადებით ან აქციონერებისათვის მოსაწვევის გაგზავნით. მოწვევასთან ერთად უნდა გამოცხადდეს დღის წესრიგი და დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად; შესაძლო ცვლილებები საზოგადოების წესდებაში უნდა გამოცხადდეს იმავდროულად. სააქციო საზოგადოების საერთო კრების დღის წესრიგთან ერთად შესაძლოა გამოცხადდეს დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად. კრების მოწვევის შეტყობინებას უნდა დაერთოს აგრეთვე იმ პროცედურის აღწერა, რომლის

მიხედვითაც კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში აქციონერს

შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება.

საზოგადოების აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელებს საერთო კრებაზე მოსაწვევი ეგზავნებათ დაზღვეული წერილით. ანგარიშვალდებული საწარმოს შემთხვევაში საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისია განსაზღვრავს, თუ 1%-ზე ნაკლები როგორი წილის მფლობელს უნდა გაეგზავნოს მოსაწვევი ფოსტით. საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისია განსაზღვრავს აგრეთვე იმ ბეჭდვით ორგანოს, რომელშიც შეიძლება შეტყობინების გამოქვეყნება.

მუხლი 55. სამეთვალყურეო საბჭო

55.1. სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ 3 და არა უმეტეს 21 წევრისგან. საწესდებო კაპიტალის არანაკლებ 20%-ის მფლობელს (მფლობელებს) უფლება აქვს (აქვთ) სამეთვალყურეო საბჭოში ჰყავდეს (ჰყავდეთ) სულ მცირე 1 წარმომადგენელი, თუ ეს შესაძლებელია.

55.2. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს საერთო კრება ირჩევს 1 წლის ვადით, თუ წესდებით სხვა ვადა არ არის დადგენილი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ვადის გასვლის შემდეგ

მორიგი საერთო კრების მოწვევამდე. ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს. ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. თუ წევრის გასვლიდან 6 თვის განმავლობაში არ აირჩა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი, მაშინ სასამართლოს, რომლის იურისდიქციის ტერიტორიაზედაც მდებარეობს საზოგადოება, შეუძლია ერთ-ერთი აქციონერის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან დირექტორის განაცხადით დანიშნოს ახალი წევრი, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

55.6. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. მოწვევა უნდა გაკეთდეს წერილობით, სულ ცოტა, რვა დღით ადრე და სავარაუდო დღის წესრიგით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება სხვა წევრებით იქნენ წარმოდგენილნი, ოღონდ ერთი წევრი ერთი სხვა წევრით.

55.7. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა სულ მცირე ნახევარი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას - მის მოადგილეს) შეუძლია არა უგვიანეს 8 დღისა მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 25%-ისა. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება და თავმჯდომარე (მისი არყოფნისას - მისი მოადგილე)

იწვევს საერთო კრებას.

ნადეჟდა შუბითიძე
აწ გარდაცვლილი დისგან მერგო მემკვიდრეობა ერთ ოთახიან ბინის პაიზე. მისი მფლობელი იყო გარდაცვლილი და. პაი არ მიმიღია. ამჟამად ვითხოვ ბინის მემკვიდრეობას, მაგრამ ნოტარიუსი უარს მეუბნება, რადგანაც ამ ბინაში მეორე და არის ორდერში ჩაწერილი და ის უარზეა. ჩემი გარდაცვლილი და ხომ მამკვიდრებელი იყო და მემკვიდრეობით მე დამიტოვა, რატომ არ შემიძლია ბინის მემკვიდრე ვიყო ან რა მეკუთვნის და როგორ მოვიქცე, ჩემი და მარტოხელაა, მე კი შვილები მყავს?

ქალბატონო ნადეჟდა,
სამოქალაქო კოდექსის შემდეგი მუხლების თანახმად:

მუხლი 311. საჯარო რეესტრის დანიშნულება

1. საჯარო რეესტრი ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. რეესტრში შეიტანება უძრავ ნივთებზე საკუთრების და სხვა სანივთო უფლებები. საჯარო რეესტრში შეიძლება ასევე რეგისტრირებული იყოს მოძრავ ნივთებზე სარგებლობის, საგარანტიო და სხვა უფლებები.

მუხლი 1306. ცნება

1. გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით.

2. კანონით მემკვიდრეობა - გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე - მოქმედებს, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი.

მუხლი 1336. კანონით მემკვიდრეები

კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი წილის უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან:

I. პირველ რიგში - გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები).

II. მეორე რიგში - გარდაცვლილის დები და ძმები. მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები და მათი შვილები კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონითი მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდა.

მუხლი 1371. ცნება

მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი).

მუხლი 1421. სამკვიდროს მიღება

1. სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე.

2. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.

3. თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი.

4. თუ ერთ-ერთი მემკვიდრე სამკვიდროდან წილის მიღებაზე უარს იტყვის სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, ასეთი მოქმედება ჩაითვლება სამკვიდროს მიღებად.

მუხლი 1424. სამკვიდროს მიღების ვადა

სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

მუხლი 1452. ცნება

სამკვიდროს გაყოფა ხდება სამკვიდროს მიმღები მემკვიდრეების შეთანხმებით იმ წილის კვალობაზე, რაც თითოეულ მათგანს კანონით ან ანდერძით ერგებათ.

მუხლი 1469. დავის განხილვა ქონების გაყოფისას

სამკვიდროს გაყოფის თაობაზე თანამემკვიდრეებს შორის შეუთანხმებლობისას დავას განიხილავს სასამართლო, რომელმაც ქონების გაყოფისას მხედველობაში უნდა მიიღოს გასაყოფი ქონების ხასიათი, თითოეული თანამემკვიდრის საქმიანობა და სხვა კონკრეტული გარემოებანი.

ამრიგად, თუ თქვენი დის გარდაცვალების დროისათვის, მეორე და რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტში ბინის მესაკუთრედ, მაშინ ამ ბინაზე მემკვიდრეობა არ გაიხსნება და იგი ეკუთვნის თქვენს ცოცხალ დას. თუ თქვენმა აწ გარდაცვლილმა დამ დატოვა ანდერძი თქვენს სახელზე, რომლითაც ბინა თქვენ დაგიტოვათ, ბინა ჩაითვლება თქვენს საკუთრებად და მეორე დას არ ექნება რაიმე უფლება მასზე, ხოლო თუ თქვენ დას არ დაუტოვებია ანდერძი, მაშინ ორივე დები იქნებით

მითითებული ქონების მემკვიდრეები და იგი გერგებათ თანაბარ წილად. თქვენ აღნიშნული ქონება უნდა გაინაწილოთ მითითებული მუხლების შესაბამისად.

ნათელა ლომიძე
მამამ ანდერძით დამიტოვა სახლი, საკარმიდამო ნაკვეთით (რაიონში). ანდერძით მიღებულ ქონების გაფორმების დროს გადამახდევინეს მიწის რენტის გადასახადი. მამის გარდაცვლებიდან 1 წლის შემდეგ სახლი გავყიდე. დამბეგრეს მამის მიერ დანატოვარი სახლის (ნოტარიუსის მიერ შეფასებული) 12 პროცენტით. გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორც პირველი რიგის მემკვიდრე გათავისუფლებული ვიყავი თუ არა საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ქონების გადასახადებისაგან?

ქალბატონო ნათელა,
საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად:
მუხლი 168. გადასახადისაგან განთავისუფლება
1. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:
ვ) ფიზიკური პირის მიერ 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი, გარდა ამ პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტისა.
ამრიგად, რადგან თქვენ სამკვიდრო ქონება გაყიდეთ მისი მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში, ამიტომ დაიბეგრებოდით მიღებული ნამეტის 12 პროცენტით. რაც შეეხება მიწის გადასახადს, 2005 წლის 1-ლი იანვრიდან მისგან განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრე, რომელიც ფლობს 5 ჰექტრამდე მიწას, მანამდე არსებული გადასახადისაგან კი არ განთავისუფლებულან მიწის მესაკუთრენი. რაც შეეხება უძრავი ქონების გადასახადს, ორმოცი ათასს ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახები 2005 წლის 1-ლი იანვრიდან განთავისუფლებულები არიან ამ გადასახადის გადახდისაგან.

ირაკლი მარშანია
სამინისტროში ჩატარებული კონკურსის შედეგების საფუძველზე დამნიშნეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში შესაბამის თანამდებობაზე. ორ თვეში სამინისტროში მიმდინარე რეორგანიზაციის შედეგად ჩემი სამსახური დაუქვემდებარეს სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას. შემინარჩუნდეს უნდა თუ არა ის ხელფასი, რომელიც კონკურსის მიხედვით მოვიპოვე? შეუძლია თუ არა საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელს მის დაწესებულებაში ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად გადამიყვანოს უფრო დაბალ თანამდებობაზე?

ბატონო ირაკლი,
"საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის შემდეგი მუხლების თანახმად:

მუხლი 43. სხვა თანამდებობაზე გადაყვანა ან თანამდებობრივად გაუთვალისწინებელი დავალების მიცემა

სხვა თანამდებობაზე ან სხვა ადგილმდებარეობის სამუშაოზე მოხელის გადაყვანა, აგრეთვე მისთვის დაკავებული თანამდებობით გაუთვალისწინებელი დავალების დაკისრება დასაშვებია მხოლოდ მოხელის თანხმობით. გამონაკლისს წარმოადგენს ამ კანონის 53-ე, 54-ე და 57-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 53. იმ განკარგულებათა შესრულება, რომლებიც არ უკავშირდება სამსახურის ადგილს

1. მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს პირადი უფროსის ან დაწესებულების ხელმძღვანელის ერთჯერადი უშუალო განკარგულება

სამსახურებრივ საკითხებზე, რომელთა შესრულების მოვალეობა არ უკავშირდება სამსახურის ადგილს, გარდა ამ კანონის 55-ე და 56-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. დაწესებულების ხელმძღვანელის განკარგულების შესახებ მოსამსახურემ უნდა აცნობოს თავის პირად უფროსს.

2. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განკარგულების შესრულებამ შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული წინააღმდეგობა მოსამსახურის მიერ თავის სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებაში, იგი ვალდებულია ეს მოახსენოს განკარგულების გამცემს და განკარგულების განმეორების შემთხვევაში აღასრულოს იგი.

მუხლი 54. იმ დავალების შესრულება, რომელიც არ შედის სამსახურებრივ მოვალეობათა რიცხვში

1. მოსამსახურემ უნდა შეასრულოს დაწესებულების ხელმძღვანელის დავალება, რომელიც არ შედის სამსახურებრივ მოვალეობათა რიცხვში, თუ ამის გაკეთება აუცილებელია ამ დაწესებულებაში სტიქიური უბედურებისა და უბედური შემთხვევის დროულად ასაცილებლად, ქონების დაღუპვისა და გაფუჭებისაგან გადასარჩენად, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ასეთი დავალების შესრულება წინააღმდეგ ნაჩვენებია მოსამსახურის ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის ან აშკარად აღემატება მის შესაძლებლობებს.

2. მოსამსახურეს, რომელიც დროებით თავისუფლდება სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისაგან ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, უნარჩუნდება ძველი თანამდებობრივი სარგო.

მუხლი 57. სამსახურში არმყოფი მოხელის მოვალეობათა შესრულება

1. პირს, რომელსაც აქვს თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დროებით არმყოფი მოხელის შეცვლის ან ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც მოხელის არყოფნა გამოიწვევდა დაწესებულების ნორმალური საქმიანობის გართულებას, შეუძლია:

ა) გადაუნაწილოს არმყოფი მოხელის მოვალეობანი სხვა მოხელეებს მათი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან განთავისუფლების გარეშე;

ბ) დააკისროს არმყოფი მოხელის მოვალეობანი სხვა მოხელეს და ეს უკანასკნელი გაათავისუფლოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან.

2. მოხელეს შეუძლია უარი განაცხადოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოვალეობათა დროებით შესრულებაზე, თუ მათი შესრულება წინააღმდეგ ნაჩვენებია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის ან ეს მოითხოვს უფრო მაღალ კვალიფიკაციასა და სხვა პროფესიულ მომზადებას, ვიდრე მას აქვს.

3. მოხელეს შეუძლია ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ამავე დაწესებულებაში შეასრულოს არმყოფი მოხელის მოვალეობანი არა უმეტეს 1 თვისა კალენდარული წლის მანძილზე.

4. მოხელეებს, რომლებიც ამ მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე ცვლიან მოხელეს, თავიანთი ხელფასის გარდა ეძლევათ დანამატი არმყოფი მოხელის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

5. მოხელეს, რომელიც ამ მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე ცვლის არმყოფ მოხელეს, ეძლევა არმყოფი მოხელის თანამდებობრივი სარგო, თუ უკანასკნელი აღემატება მის თანამდებობრივ სარგოს; თუ არმყოფი მოხელის თანამდებობრივი სარგო ნაკლებია შემცვლელის თანამდებობრივ სარგოზე, მაშინ შემცვლელ მოხელეს უნარჩუნდება თავისი სარგო.

მუხლი 93. სამსახურიდან განთავისუფლება

მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს.

მუხლი 96. სამსახურიდან განთავისუფლება დაწესებულების ლიკვიდაციის გამო

1. მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან დაწესებულების ლიკვიდაციის გამო.

2. დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე.

3. დაწესებულების რეორგანიზაციისას, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილია გაითვალისწინოს ატესტაციის შედეგები.

4. დაწესებულების დაქვემდებარების შეცვლა არ წარმოადგენს მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველს.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება დაწესებულების საქმიანობის შეწყვეტის დღიდან.

მუხლი 97. სამსახურიდან განთავისუფლება შემცირებასთან დაკავშირებით

1. მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას.

2. მოხელე არ შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ იგი თანახმაა დაინიშნოს სხვა თანამდებობაზე.

3. მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გაფრთხილების ვადის გასვლიდან პირველივე დღეს.

საჯარო მოსამსახურეს ეძლევა შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელფასი, თუ რა თქმა უნდა სხვა თანამდებობაზე გადაყვანის კანონიერი საფუძვლისას აღნიშნული თანამდებობისათვის არაა გათვალისწინებული განსხვავებული ხელფასის ოდენობა.

თინათინ ფაღავა
გთხოვთ, მიპასუხოთ, ვარ რეზიდენტურა (მაგისტრატურა) დამთავრებული, სერთიფიცირებული ექიმი. მინდა განვაგრძო სწავლა ასპირანტურაში (დოქტურანტურაში) ან გავხდე ხარისხის მაძიებელი და დავიმტკიცო თემა. შესაბამის ორგანოებში მიმართვის შემდეგ, მითხრეს, მაძიებლობის ინსტიტუტი გაუქმებულია, ასევე გაუქმებულია ასპირანტურა ანუ მიღება შეწყვეტილია 2007 წლამდე, სანამ არ შემოვა ძალაში დოქტურანტურის კანონი ანუ 2007 წლამდე. შევიძინე 2005 წელს გამოშვებული წიგნი: "განათლების რეფორმა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა", სადაც მე-100 გვერდზე წერია (89-ე მუხლის მე-9-10 ქვეპუნქტები): "ვრცელდება აგრეთვე პირებზე,

რომლებიც გახდნენ ან გახდებიან ასპირანტები (მაძიებლები) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ამ კანონის შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს შექმნამდე მოიპოვებენ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს, მაგრამ არა უგვიანეს 2006 წლის 31 დეკემბრისა." მაინტერესებს: 1. არის თუ არა გაუქმებული ასპირანტობა (მაძიებელთა)

მიღება როგორც ირწმუნებიან განათლების სამინისტროში და მცირე სამედიცინო აკადემიაში და ერთადერთ გამოსავლად გვთავაზობენ 2007 წლამდე დაცდას? 2. ამ კანონის მიხედვით, გვაქვს თუ არა თემის დამტკიცების უფლება ძველი წესით ან ასპირანტურაში მოწყობა და არა როგორც გვთავაზობენ დოქტურანტურის კანონის ამოქმედებამდე დალოდება? 3. სად უნდა მივმართო და როგორ გავარღვიოთ ეს ხელოვნურად შექმნილი ვაკუუმი?

ქალბატონო თინათინ,
"უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 30-ე მუხლის, 87-ე მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილების, 89-ე მუხლის მე-9 და მე-10 ნაწილების თანახმად:

მუხლი 30. სადისერტაციო საბჭო

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემი-ური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქ-მნება ფაკულტეტზე.

2. სადისერტაციო საბჭოების შედგენისა და თავმ-ჯდომარის არჩევის წესი განისაზღვრება აკადემიური საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად. სადისერ-ტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხა-რისხის მქონე ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისგან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ფაკულ-ტეტის სადისერტაციო საბჭოში სხვა უმაღლესი საგან-მანათლებლო დაწესებულების პროფესორის ან ასოცი-რებული პროფესორის მოწვევის წესი და პირობები.

3. სადისერტაციო საბჭო მოქმედებს აკადე-მიური საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებული დებულების შესაბა-მისად და დოქტორის ხარისხს ანიჭებს მეცნიერების იმ დარგებში, რომლებიც განსაზღვრულია ამავე დებულებით.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება სამეცნი-ერო-კვლევით დაწესებულებასთან დოქტორის საგანმა-ნათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.

მუხლი 87. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვა

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღ-ლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის ორგანოების პირველ

არჩევნებს უმაღლესი საგანმანათ-ლებლო დაწესებულებები ატარებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით ამ კანონის ამოქმედებიდან არა უგვიანეს 2 წლისა.

7. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ამ კანონით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამებით (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დიპლომირებული სპეციალისტი, დოქტორანტურა) სწავლებაზე სრული გადასვლა და შესაბამისი აკადემიური ხარისხების მინიჭება უზრუნველყონ არა უგვიანეს 2007-2008 სასწავლო წლის დასაწყისისა. ამ კანონით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამებით (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დიპლომირებული სპეციალისტი) სწავლებაზე სრულ გადასვლამდე ერთსაფეხურიანი,

არანაკლებ ხუთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულები მიიღებენ უმაღლესი განათლების დიპლომს, რომელიც უთანაბრდება მაგისტრის დიპლომს. მაგისტრის დიპლომთან გათანაბრების წესს, მათ შორის, დამატებით საგანმანათლებლო მოდულებს, განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართვით, რომელიც მოგაწვდით ინფორმაციას თქვენთვის საინტერესო საკითხზე.

მუხლი 89. ეროვნული გამოცდების ცენტრი, სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური და საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობა

9. ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოპოვებული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი გათა-ნაბრებულია დოქტორის აკადემიურ ხარისხთან.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტი ვრცელდება აგრეთვე პირებზე, რომლებიც გახდნენ ან გახდებიან ასპირანტე-ბი(მაძიებლები) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწე-სებულებაში ამ კანონის შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს შექმნამდე მოიპოვებენ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს, მაგრამ არა უგვიანეს 2006 წლის 31 დეკემბრისა.

აღნიშნული კანონი მიღებულ იქნა 2004 წლის 21 დეკემბერს, რომელიც ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს. ამ კანონით შეუწყდათ უფლებამოსილება მართვის ორგანოებს, ხოლო როგორც კანონიდან ჩანს, სადისერტაციო საბჭოს დებულებას ამტკიცებს აკადემიური საბჭო, ხოლო მისი არჩევნები კი უნდა ჩატარდეს ამ კანონის ამოქმედებიდან არა უგვიანეს ორი წლისა. ამასთან ამ კანონით დაშვებულია მხოლოდ დოქტურანტურის გავლით დოქტორის ხარისხის მინიჭება. თქვენ ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლისადმი განცხადების მიმართვით, რომელიც მოგაწვდით ინფორმაციას თქვენთვის საინტერესო საკითხზე.

მოსამართლეები და არასამთავრობოები კვლავ პოლიტიკურ ზეწოლაზე საუბრობენ

მოსამართლეები - ნინო გვენეტაძე, დავით სულაქველიძე და მერაბ ტურავა პარლამენტარ გიგა ბოკერიას უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაში ადანაშაულებენ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კოლეგიის სხდომების პოლიტიზებაზეც საუბრობენ.

არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ოფისში, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების ნინო გვენეტაძის, მერაბ ტურავას, დავით სულაქველიძის და მათი ადვოკატების - ეკა ბესელიას, ოთარ გამყრელიძის და ანა დოლიძის ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა.

ანა დოლიძის განაცხადებით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე მოსამართლეთა სადისციპლინო საქმის განხილვა პოლიტიკურად მოტივირებულია და მიკერძოებულია, რადგან საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები პრესით გავრცელებული ცილისმწამებლური ინფორმაციებით ხელაღებით არღვევენ ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფციას.

როგორც გიგა ბოკერია აცხადებს, ხელისუფლებას სასამართლო სისტემის წმენდა აქვს გადაწყვეტილი. გიგა ბოკერიას განცხადებით, მერაბ ტურავამ და ნინო გვენეტაძემ წარსულში მექრთამე პოლიციელები გაამართლეს, ხოლო მათ მიერ გამოტანილი განაჩენით, არძინბას ხელისუფლება დააკანონეს.

როგორც ანა დოლიძე აცხადებს, როდესაც ასეთი განცხადების შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კოლეგიაში ბრალდების მხარედ გამოდიან პარლამენტარ გიგა ბოკერიას გუნდის წევრები ნიკა გვარამია და ნინო კალანდაძე, ეს არის პირდაპირი ზეწოლა.

უზენაესი სასამართლოს ერთ-

ანა დოლიძე გიგა ბოკერიას უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაში ადანაშაულებს.

ერთი მოსამართლის მერაბ ტურავას განცხადებით კი, არქივში მოძიებული განაჩენების საფუძველზე მან დაადგინა, რომ ბოკერია საუბრობს იმ გადაწყვეტილებაზე, სადაც ბრალდებული პოლიციელების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენებია გამოტანილი და მათ რეალურად ედავებიან არა ქრთამის აღებას, არამედ თანხის გამოძალვას.

მოსამართლე დავით სულაქველიძის თქმით, როდესაც გიგა ბოკერია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს წინა ხელისუფლების დროს მომრიგებლის როლის შესრულებაში ადანაშაულებს, მან ეს ბრალდება უნდა დაასაბუთოს კონკრეტული ფაქტებით. **"წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოკერიას ლაპარაკი, იმერული დიალექტით რომ ვთქვათ, "ბუუტურად" ჩაითვლება და არა ოფიციალურ განცხადებად,"** - აცხადებს დავით სულაქველიძე.

24 საათი

ფოსტა

ადვოკატები კანონიერებისა და სამართლიანობის მოთხოვნით

"24 საათის" რედაქციაშიც წერილები უსამართლო მართლმსაჯულების თაობაზე ძალზე ხშირად მოდის და ყველა წერილს ერთი აქვს საერთო- ადამიანები უსამართლობას უჩივიან, საკუთარ უდანაშაულობას ამტკიცებენ და გაზეთის მეშვეობით სამართალდამცველ ორგანოებსა თუ მართლმსაჯულებაზე გავლენის მოხდენას ცდილობენ. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, წერილში მოყვანილი ფაქტების გადამოწმება ხდება და მხოლოდ ამის შემდეგ წყდება მათი გამოქვეყნება-არგამოქვეყნების საკითხი. წერილი, რომელიც გუშინ რედაქციაში მივიღეთ, ბოლო პერიოდში ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ საქმეს - "მოსამართლეთა საქმეს" ეხება და ის არავითარ ჟურნალისტურ ჩარევას, ფაქტის გადამოწმებას არ საჭიროებს. სასამართლო სისტემაში ბოლო პერიოდში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციას გამოხატავენ ადვოკატები, რომლებიც ძალზე ხშირად ყოფილან დავით სულაქველიძის, ნინო გვენეტაძისა და მერაბ ტურავას "მოწინააღმდეგეები" პროცესზე. ადვოკატები მანანა ახალაია, ცირა ზინდრიშვილი, გულნარა გორხელაშვილი, გულიკო გოცირიძე, გივი პაპუაშვილი, მზია სიჭინავა, გვიდონ გადელია, მაია ტალახაძე, მაია ახმეტელაშვილი, ვლადიმერ ნორაკიძე, თეა შენგელია სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას უჭერენ მხარს.

სახელმწიფოში კონსტიტუციური უფლებების გამუდმებული კანონდარღვევა უმსგავსობაა. ამიტომაც, მოხარულნი ვართ, რომ სასამართლო ხელისუფლებაში აღმოჩნდნენ ისეთი კეთილსინდისიერი მოსამართლეები, რომელთაც არ უღალატეს ფიცს და მარიონეტებად არ იქცნენ. პირიქით, მათ სააშკარაოზე გამოიტანეს ბოლო ორი წლის განმავლობაში სასამართლოს (სამოსამართლეო) საქმიანობაში არსებული უხეში ჩარევის ფაქტები.

მართალია, სასამართლო ხელისუფლების ზეწოლაში მხილებული თანამდებობის პირები ოსტატურად ცდილობენ საზოგადოებაში დაამკვიდრონ საპირისპირო მოსაზრება, თუმცა საქვეყნოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ ე.წ ძველ კადრებს "საკუთარი განცხადების" საფუძველზე უშვებენ დაკავებული თანამდებობიდან. მართ მიმართ კი, ვინც დაუმორჩილებლობას გამოხატავს, სხვადასხვა სახის სადამსჯელო ოპერაციები ხორციელდება.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ სასამართლოზე ზეწოლა არა მარტო პირდაპირ მოთხოვნებსა და მითითებებში გამოიხატება, არამედ - კანონმდებლობის მუდმივ ცვალებადობაშიც, რაც გარკვეული პიროვნებების ინტერესებსაა მორგებული. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს მოსამართლის ფუნქციებისა და დამოუკიდებლობის კანონით შეზღუდვას. ამის ერთერთი სამაგალითო გამოვლინებაა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უფუნქციოდ და უუფლებოდ დატოვებული პროცესის მონაწილე მხარე - დაზარალებული.

ამის დასტურია ის საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც მოსამართლეს არ აძლევს უფლებას, სახელმწიფო ბრალმდებლის დასაბუთებული შუამდგომლობის გარეშე, წინასწარი ძიებისას დაშვებული სამართლებრივი დარღვევების შესწორების მიზნით, საქმე დამატებით გამოძიებას დაუბრუნოს.

ასევე დაუშვებლად მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ საპროცესო კოდექსში სისტემატურად შედის არსებითი ცვლილებები. დღეისთვის პარლამენტში შესულია კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოყენებული უნდა იქნეს გირაო ან პატიმრობა, ანუ პირს, რომელიც კანონით აკრძალულ ქმედებას შიმშილის გამო ჩაიდენს, ვთქვათ, მოიპარავს საკვებ პროდუქტს, რა თქმა უნდა, გირაოს გადახდის საშუალება არ ექნება და დააპატიმრებენ. ის პირები კი, ვინც სახელმწიფოს დაუმალეს დიდი ოდენობით გადასახადები, გადაიხდიან გირაოს და თავიდან აიცილებენ დაპატიმრებას. ამ შემთხვევაში კანონი სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს არათანაბარ პირობებში აყენებს და კიდევ უფრო ამძიმებს მათი და მათი ოჯახების მდგომარეობას.

ამავე კანონპროექტით გათვალისწინებულია ჟურნალისტებისთვის სასამართლო განხილვების დახურვა, მაშინ, როცა ცოტა ხნის წინათ წარმატებულად აღიარებული სასამართლო რეფორმის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად სწორედ სასამართლოს გამჭვირვალეობას მიიჩნევდნენ.

სამწუხაროდ, დღევანდელი სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში ჩარევა მასშტაბური ხასიათის გახდა, დაუცველი რჩება სასამართლოც და პროცესში მონაწილე მხარეებიც, გარდა სახელმწიფო ბრალმდებლისა.

იმედს ვიტოვებთ, რომ სასამართლო ხელისუფლება უსამართლობისა და უკანონობის წინააღმდეგ გააგრძელებს ბრძოლას, ეს კი, მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების დაცვის გარანტი იქნება, რაც თავად ხელისუფლების ინტერესში უნდა შედიოდეს.

ადვოკატები ყოველთვის კანონიერებისა და სამართლიანობის მხარეს დავდგებით.

გატაცებული ქართველები ოჯახებს დაუბრუნდნენ

ოსი სეპარატისტების მიერ გუშინწინ გატაცებული ყველა ქართველი უკვე გათავისუფლებულია. გათავისუფლება კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული სამშვიდობო ძალების სარდლის, გენერალ-მაიორ მარატ კულახმეტოვის ჩარევის შემდეგ მოხდა. იგი გუშინწინ, გვიან ღამით, კონფლიქტის ზონაში ჩასულ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს დახურულ კარს მიღმა შეხვდა. ოსების მიერ კონტროლირებდი ტერიტორიიდან ქართველი მძევლები მარატ კულახმეტოვმა გამოიყვანა.

ოსურმა მხარემ გუშინ აღიარა, რომ ქართველთა მასშტაბური გატაცება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის მიერ ორი დღის წინ ზემო არცევის ოსური მილიციის განყოფილების უფროსის მოადგილის ვალერი გუდიევის დაკავებას უკავშირდებოდა.

გათავისუფლებულ მძევალთაგან კომენტარი არავის გაუკეთებია, გარდა პატარა ლიახვის ხეობის სატყეო მეურნეობის უფროსის გია მახნიაშვილისა. როგორც მახნიაშვილი აცხადებს, მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ, თუმცა სასტიკად ნაცემები არიან მახნიაშვილის მოადგილე გოჩა ბაბუციძე და ორი პოლიციელი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ქართველების გატაცებაში სეპარატისტული ცხინვალის შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრები დაადანაშაულა. მერაბიშვილმა მათ ულტიმატუმიც წაუყენა და მძევლების არგათავისუფლების შემთხვევაში, სპეცოპერაციებით დაემუქრა.

მიუხედავად იმისა, რომ გუშინწინ ერთდროულად გატაცებული 20 ქართველი უკვე გათავისუფლებულია, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ავტომაგისტრალები გადაკეტილია და მოძრაობა პარალიზებულია. გადაკეტილია გზა დიდი ლიახვის ხეობიდან ჯავის მიმართულებით, სადაც უკვე მეხუთე დღეა, ექვსი თვის წინ გატაცებული ხაჭაპურიძეების ახლობლები აქციას მართავენ. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულთა ცხედრების დაბრუნებამდე ისინი ავტომაგისტრალს არ გახსნიან.

ჰამლეტ ხაჭაპურიძის ოჯახის წევრებმა, დაახლოებით ორი კვირის წინ, საზარელი გზავნილი მიიღეს - სხეულის ნაწილები და ფეხსაცმელი. გატაცებულების ახლობლები აცხადებენ, რომ უკვე კარგა ხანია, რაც მათ ცხედრების დაბრუნებაში საკმაოდ სოლიდურ თანხას სთხოვენ, თუმცა გარანტია მაინც არ არსებობს, რომ თანხის გადახდის შემთხვევაში, გატაცებულთა ცხედრებს ოჯახებს დაუბრუნებენ.

რაც შეეხება არცევის მილიციის ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილის ვლადიმერ გუდიევის სასამართლო პროცესს, ის დღეს თბილისში, სამხედრო ჰოსპიტალში გაიმართება. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ მართლმსაჯულებას უკვე მიმართა გუდიევისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით. გუდიევს ბრალად ედება ყალბი ფულით ვაჭრობა და პოლიციისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა.

24 საათი

აფხაზმა კრიმინალებმა ზუგდიდელი პოლიციელის სახლი დაწვეს

აფხაზმა კრიმინალებმა ზუგდიდის პოლიციის სამართველოს სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების უფროსის სახლი დაცხრილეს.

ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონაში, რომელიც გალის რაიონის სოფელ თაგილონს ესაზღვრება, გუშინ აფხაზური კრიმინალური დაჯგუფების წევრები შეიჭრნენ. მათ ცეცხლი გაუხსნეს შამგონაში მცხოვრები ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების უფროსის დემურ გაბუნიას საცხოვრებელ სახლს. აფხაზი კრიმინალები სხვადასხვა სახეობის იარაღიდან ისროდნენ.

როგორც შამგონას გამგებელი მამუკა ხუბუა აცხადებს, აფხაზი კრიმინალები ისროდნენ ავტომატებიდან, ყუმბარმტყორცნიდან და ტყვიამფრქვევიდან.

თავდასხმას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

სოდფელ შამგონას მოსახლეობა ხელისუფლებისაგან კრიმინალების მიმართ ქმედითი ღონისძიების გატარებას მოითხოვს.

ინტერპრესნიუსი

დღე, როდესაც შეძრა მსოფლიო

1981 წლის 5 ივნისი. 20 საათი და 13 წუთი გრინვიჩის დროით. ამერიკელი ექიმი მაიკლ გოტლიბი ათვალიერებს პნევმოცისტური პნევმონიის მქონე ხუთი პაციენტის გამოკვლევების მონაცემებს (ხუთივე პაციენტი ჰომოსექსუალია, თან ნარკოტიკული საშუალებების ინტრავენური გზით მომხმარებელი) და აწყდება გამაოგნებელ სურათს - ავადმყოფობას თან სდევს იმუნიტეტის საოცრად მკვეთრი დაქვეითება. ასე გაიგო მსოფლიომ პირველად, ახალი, საშინელი დაავადების შესახებ, რომელსაც დოქტორმა გოტლიბმა - შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი ანუ შიდსი უწოდა.

იმ დროს, მხოლოდ სპეციალისტების ვიწრო წრე ხვდებოდა, თუ რა საშიშროებასთან ჰქონდათ საქმე. გასაკვირი არც არის, რომ შიდსითა და მისი გამომწვევი მიზეზების გამოკვლევებით დაინტერესდა ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებების კონტროლის ცენტრი, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ახალ ეპიდემიებთან ბრძოლა იყო. იმუნური სისტემის მოშლის მიზეზების მოძიება ცენტრის თანამშრომელს, დოქტორ რობერტ გალოს დაევალა. კვლევების პროცესში პროფესორი გალო რეგულარულად აცნობდა ჩატარებული ცდების შედეგებს ფრანგ კოლეგას ლიუკ მონტანიეს, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიჩინა პრობლემისადმი და აქტიურად ჩაერთო კიდეც ამ პროცესში.

სამწლიანი დაძაბული მუშაობის შემდეგ, 1984 წელს პროფესორმა გალომ განაცხადა, რომ მიაგნო შიდსის სავარაუდო მიზეზს - პათოგენურ აგენტს, რომელსაც მან ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ) უწოდა. ანალოგიური შედეგი მიიღო ლიუკ მონტანიემაც, რამაც კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობა შემატა აღმოჩენას. დასკვნა კი ასეთი იყო - ვირუსი ანგრევს ადამიანის იმუნურ სისტემას და ორგანიზმს აღარ ძალუძს ებრძოლოს ისეთ შიდს-ასოცირებულ დაავადებებს, როგორიცაა: კიბო, პნევმონია და ჰეპატიტი.

სანამ მეცნიერები და სპეციალისტები ამ უმძიმესი დაავადების გამომწვევ მიზეზებსა და კაცობრიობის ხსნის საშუალებებს ეძებენ, ათეულობით მილიონი აივ ინფიცირებული ადამიანი, როგორც წყალწაღებული ხავსს, ისე ეკიდება ნებისმიერ ასე თუ ისე დამაიმედებელ ინფორმაციას შიდსის საწინააღმდეგო ვაქცინისა თუ წამლის აღმოჩენის თაობაზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ბოლო ათი წლის განმავლობაში ვირუსმტარებელთა რაოდენობა გაორმაგდა და დღეს დედამიწაზე 40,3 მილიონი ინფიცირებულია. მხოლოდ უკანასკნელი 11 თვის განმავლობაში მათი რიცხვი თითქმის 5 მილიონით გაიზარდა, ხოლო შიდსის დიაგნოზით, ამავე პერიოდში, 3 მილიონი ადამიანი გრდაიცვალა, სამწუხაროდ, მათ შორის 500 ათასი ბავშვი. სულ, გარდაცვლილთა რაოდენობამ კი 20 მილიონს გადააჭარბა.

პრობლემის სიმძაფრიდან გამომდინარე, მეცნიერებისა და სპეციალისტების კვალდაკვალ, ამ პროცესში სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები, თითქმის ყველა ქვეყნის ხელისუფლება ჩაერთო. ზამთრის პირველი დღე, 1 დეკემბერი, გაეროს გადაწყვეტილებით შიდსთან ბრძოლის დღედ გამოცხადდა. ამ დღეს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, შიდსის საწინააღმდეგო აქციები გაიმართა. ხელისუფლებამ, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა თავისებური ანგარიში ჩააბარეს გაეროული მუშაობის, მიღებული შედეგებისა და პერსპექტივების შესახებ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, დამაიმედებელი ბევრი არაფერი გვაქვს, შეიძლება ითქვას, შიდსი ჯერჯერობით გვიტევს.

მიუხედავად ამისა, როგორც გაეროს გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა შიდსთან ბრძოლის დღეს განაცხადა: "მსოფლიო თანამეგობრობას აქვს შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის გავრცელების შეჩერებისა და დაავადების შემცირების ტენდენციის ჩამოყალიბების მკაფიო გეგმა".

თავის მოწოდებაში მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დღეს, შიდსთან ბრძოლის მიზნით, განვითარებადი ქვეყნებისთვის ყოველწლიურად 8 მილიარდი აშშ დოლარი გამოიყოფა, მაშინ როდესაც ათი წლის წინ ეს თანხა სულ 300 მილიონ დოლარს შეადგენდა. გარდა ამისა, მსოფლიოს 40 ქვეყანაში შიდსთან ბრძოლას უშუალოდ სახელმწიფოს ხელმძღვანელები ჩუდგნენ სათავეში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ქვეყნებში ნათლად ესმით, თუ რა საშიშროების წინაშე დგას კაცობრიობა. "შემდეგ წელს განზრახული გვაქვს, გარკვეულად მიმოვიხილოთ, თუ რისი გაკეთება შევძელით აივ/შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ყველაფერი ეს მაფიქრებინებს, თუ 2015 წლისთვის განზრახული გვაქვს ამ სასტიკი, ულმობელი დაავადების გავრცელების შეჩერება, მსოფლიო თანამეგობრობამ კიდევ უფრო უნდა გააააქტიუროს ძალისხმევა ამ მიმართულებით". ბოლოს კოფი ანანმა განაცხადა: "შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღეს გთხოვთ ყველას, გავერთიანდეთ სანუკვარი მიზნის მისაღწევად".

ჩვენ სისხლხორცეულად ვართ დაინტერესებულნი გაეროს გენერალური მდივნის მიერ გაცხადებულ ბრძოლაში ჩასაბმელად და იმედს ვიტოვებთ, რომ იგი მხოლოდ დეკლარირების დონეზე არ დარჩება. მითუმეტეს, რომ სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში დარეგისტრირებულია შიდსის ვირუსით ინფიცირებული 831 ადამიანი. მათ შორის, 170 ქალია (3 ფეხმძიმე), ხოლო 661 მამაკაცი. ინფიცირებულთა ასაკი, ძირითადად, 25-დან 40 წლამდე მერყეობს, თუმცა გვხვდება 60 წელს გადაცილებული მამაკაცებიც. დღეისთვის შიდსი 347 პაციენტს განუვითარდა, 184 გარდაიცვალა.

ინფიცირებულთა თითქმის ორი მესამედი - 63.7 პროცენტი ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელია, 28.8 პროცენტი - ჰეტეროსექსუალი, 3.5 პროცენტი - ჰომო-/ბისექსუალი, ხოლო 1.2 პროცენტი სისხლის რეციპიენტია. გარდა ამისა, კიდევ 1.2 პროცენტი ვერტიკალური გადაცემის გზით დაინფიცირდა, 1.6 პროცენტის შემთხვევაში კი ინფიცირების წყარო უცნობია.

რამდენად ზუსტია ეს მონაცემები? საერთაშორისო ექსპერტები - ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) და გაეროს შიდსის ბიუროს (UNAIDC) შეფასებით - დღეისთვის შიდსის გამოვლენილი შემთხვევები ისე შეეფარდება გამოუვლენელებს, როგორც 1/20-ს ან 1/25-ს. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში, ვიდრე ინფიცირებულთა რაოდენობამ საქართველოში 5000-6500 მიაღწიოს. ეს პროგნოზი-მოსაზრება ემყარება გარკვეულ ტენდენციას, რომელიც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში გამოვლინდა და, შესაბამისად, საქართველოზეც ვრცელდება, თუმცა დემოგრაფიული ვითარებისა და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

საქართველოსთვის შიდსთან პირველი შეხება 1989 წელს დაფიქსირდა (ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად დარეგისტრირებული). 40 წლის აფხაზეთში მცხოვრებ ქალბატონს ვირუსი მისმა მეუღლემ, ერთ-ერთი აფრიკული ქვეყნის მოქალაქემ შეჰყარა.

იგივე გაეროს შიდსის ბიუროს (UNAIDC) შეფასებით, რუსეთში ადგილი აქვს მთელ ევროპაში ყველაზე დიდ ეპიდემიას. ამდენად, ოფიციალური მონაცემები - 340 ათასი ინფიცირებული, შორს არის რეალობისგან. მისი მსხვერპლი რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის თითქმის ერთი პროცენტია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყნის მოსახლეობა 200 მილიონს უახლოვდება, გამოდის, რომ ინფიცირებულთა რაოდენობა თითქმის 2 მილიონია (სტატისტიკური მონაცემებით ინფიცირებულთა 70 პროცენტი ნარკოტიკული საშუალებების ინტრავენური მომხმარებელია). უბრალოდ, მრავალი ავადმყოფი არ რეგისტრირდება, რამეთუ არ სჯერათ, რომ მათ ეს რამეში წაადგებათ. თუ ეპიდემიამ მოსახლეობის 2 პროცენტი მოიცვა, მაშინ შესაძლოა, ავადმყოფობა კონტროლს აღარ დაექვემდებაროს და მას გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს. ამჟამად რუსეთში ავადმყოფობის გენერალიზაცია მიმდინარეობს - ეს კი ნიშნავს, რომ ავადმყოფობა უკვე არა მარტო რისკის ჯგუფებს, არამედ საზოგადოების იმ ფენებშიც იჩენს თავს, რომელსაც თავი დაცული ჰგონია. რუსეთის ხელისუფლებას დიდი ძალისხმევა მართებს, რათა დაიცვას მოსახლეობა მზარდი ეპიდემიისგან.

ასე რატომ ვამახვილებთ ყურადღებას რუსეთზე? იმიტომ რომ იგი ჩვენი "კარის" მეზობელია და ჩვენი თანამემამულეების მეოთხედზე მეტი იქ ცხოვრობს და მუშაობს, რაც ნიშნავს, რომ ჩვენი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი მუდმივი რისკის ქვეშ იმყოფება და ამ რისკს ჩვენც ვინაწილებთ, მათი ნათესავები, ახლობლები და, უბრალოდ, თანამემამულეები.

რაში ვხედავთ რისკს? ცნობილია, რომ აივ/შიდსის ინფექცია საჰაერო-წვეთოვანი გზით არ გადაეცემა (ღმერთმა დაგვიფარა), მაგრამ ეს საქმეს ბოლომდე არ შველის - ინფიცირების ყველაზე დიდი რისკის ქვეშ ნარკოტიკული საშუალებების ინტრავენური მომხმარებელები არიან, შემდეგ ჰეტერო და ჰომოსექსუალები მოჰყვებიან, დანარჩენი ჯგუფების წილი 3 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. საბოლოო ჯამში კი, ისინი ჩვენი საზოგადოების წევრები არიან, ყოველდღიურ კონტაქტში ვართ მათთან და, ამდენად, დაზღვეულნი ვერ ვიქნებით, თუ გარკვეულ ქცევის წესებს არ შევიმუშავებთ.

დღემდე გვესმის, რომ შიდსი მხოლოდ ზოგიერთი სოციალური ჯგუფისთვის არის საშიში, ხოლო "ჩვეულებრივ მოკვდავთ" შეუძლიათ მშვიდად იძინონ. გუნება უნდა წაგიხდინოთ, "რისკის ჯგუფი" - მოგონილი ზღაპარია, რეალობა კი - "სარისკო ქცევაა". 80-იან წლებში მრავალ ქვეყანაში სწორედ "რისკის ჯგუფის" ცნების დამკვიდრებამ და საზოგადოების უდარდელმა დამოკიდებულებამ თავად პრობლემისადმი, შიდსის ეპიდემიის სწრაფ ზრდას შეუწყო ხელი. საქმე ის გახლავთ, რომ "რისკის ჯგუფი" ადამიანების მოგონილია და ვირუსმა არაფერი იცოდა ამის შესახებ. ახლა უკვე ყველა დარწმუნდა, რომ აივ/შიდსი არ ცნობს დისკრიმინაციას და ერთნაირად აინფიცირებს ყველას, ვინც უგულებელყოფს მისი პროფილაქტიკის წესებს.

როგორ დავიცვათ თავი ამ მზაკვრული ვირუსისგან, მითუმეტეს, თუ ვერავინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ჩვენს გვერდით მდგომი არ არის ვირუსის მტარებელი (ეს შესაძლოა მან თავადაც არ იცოდეს)?

მოდით, ერთად გავაანალიზოთ მარტივი შემთხვევა. რა სჯობია, ფარული თუ ხილული მტერი? თუ მტერი ხილულია, იცი რას უნდა ელოდე მისგან და ემზადები თავდასაცავად, მუდმივი კონტროლის ქვეშ გყავს იგი და თავსაც უფრო დაცულად გრძნობ. გამორიცხული არ არის, რომ დაასწრო კიდეც და დარტყმა პირველმა მიაყენო. იმ შემთხვევაში კი, თუ მტერი უხილავია, ან უარესი, თუ საერთოდ წარმოდგენაც არა გაქვს, რომ ვიღაც გმტრობს, მაშინ უძლური ხარ ამ საშიშროების წინაშე და შედეგიც სავალალო შეიძლება აღმოჩნდეს. მტერი მაშინ შეიძლება დაგეპასახას თავს, როდესაც და საიდანაც არ ელი.

ცხადია, ვიღაც უფრო დიდი საშიშროების ქვეშ არის, ვიღაც ნაკლების - თუ მოსისხლე გყავს - საშიშროება, რომ მოგკლან, მეტია, მაგრამ თუ უდარდელი ან გაუთვითცნობიერებელი ხარ ან თავდაცვის ინსტინქტი არ გაგაჩნია, შესაძლოა "ბრმა ტყვიამ" გიმსხვერპლოს.

თუ ისევ აივ/შიდსის საშიშროებას დავუბრუნდებით, "ყველაზე მტრიანი" მაინც ნარკოტიკული საშუალებების ინტრავენური მომხმარებლები უნდა ვაღიაროთ (ჩვენ რომ არ ვაღიაროთ, სტატისტიკა მაინც დაგვიდასტურებს. შეგახსენებთ, რომ ბოლო წელს აივ ინფიცირებულების 64 პროცენტი, სწორედ ამ ჯგუფის წარმომადგენლებმა შეადგინა), მაგრამ, გამორიცხული არ არის "ბრმა ტყვიამ" საზოგადოების ნებისმიერი, ერთი შეხედვით რისკ ჯგუფისგან ძალიან შორს მდგომი წევრიც იმსხვერპლოს. უნებლიე დაინფიცირების შემთხვევები იმაზე მეტია, ვიდრე გვგონია. სამწუხაროა, რომ ინფორმაცია ყოველი ასეთი შემთხვევის შესახებ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ ხდება. მაშინ, ალბათ, უფრო ყურადღებით შევისმენდით სპეციალისტების რჩევებს, უფრო პრაგმატულად მიეუდგებოდით ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლებსაც და თავად ნარკომანიის პრობლემასაც, უშედეგო აგრესიას კი არ გამოვიჩენდით მათ მიმართ, არამედ ყველაფერს ვიღონებდით საზოგადოებისთვის, ე.ი. საკუთარი თავისთვის ზიანის შესამცირებლად.

სამწუხაროა და საგანგაშო ის არის, რომ საქართველოში ძალზე "პოპულარულია" ნარკოტიკული საშუალებების ინექციური მოხმარება. მაგალითად, ჩვენში, თვით ასე გახმაურებული და "ცნობილი" სუბუტექსის აბებიც კი არა ორალური, არამედ, ძირითადად, ინექციური გზით მიიღება. სულ რაღაც ერთი-ორი წლის წინ კი "პოპულარობით" სარგებლობდა ყაყაჩოს თესლი, რომელიც საქართველოში საცხობებისთვის, კულინარული საჭიროებისთვის შემოქონდათ და ბაზრობებზე ღიად იყიდებოდა. იგი ყველამხრივ და ყველასთვის იმდენად ხელმისაწვდომი იყო, მისგან დამზადებული საინექციო მასალა იმდენად იაფი ჯდებოდა, რომ ბევრისთვის, მათ შორის ძალზე გაჭირვებული ოჯახის შვილისთვისაც კი, მისი შეძენა და მოხმარება პრობლემას არ წარმოადგენდა. ნარკოლოგიის ინსტიტუტის მონაცემებით, სწორედ ამ კონტინგენტშია ძალზე მაღალი არასტერილური, მრავალჯერადად მოხმარებული საკუთარი, თუ საერთო შპრიცებისა და ნემსების გამოყენების ტენდენცია.

ინტრავენური ნარკომანიისგან გამოწვეული ზიანის შესამცირებლად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (ბოსნია, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, მაკედონია, პოლონეთი, რუმინეთი, სერბია, სლოვაკეთი, სლოვენია და უკრაინა) კანონიერ საფუძველზე მოქმედებს შპრიცებისა და ნემსების გაცვლის პროგრამა.

გაეროს ნარკოტიკების კონტროლის სააგენტო რეკომენდაციას იძლევა დავეხმაროთ ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლებს, "მომსახურება გავუწიოთ უშუალოდ ქუჩაში" - მივაწოდოთ ინფორმაცია აივ/შიდსის თაობაზე, ხელმისაწვდომი გავხადოთ მათთვის უსაფრთხო, სტერილური შპრიცები და ნემსები, პრეზერვატივები, ნებაყოფლობითი ტესტირება ვირუსის გამოსავლენად (ცხადია, უმჯობესია თუ შედეგი უარყოფითი აღმოჩნდება), საკონსულტაციო მომსახურება, ფსიქოლოგის დახმარება.

ყურადსაღებია, ალბათ, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც კვლავ აგრესიული და შეუვალი რჩება ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლებისა და ნარკომანიის მიმართ, გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის დეკლარაცია აივ/შიდსის თაობაზე, რომელშიც ნათქვამია, რომ "ეფექტური პროფილაქტიკა, მოვლა და მკურნალობა ითხოვს: ვაქცინების, პრეზერვატივების, ბაქტერიციდული საშუალებების, სტერილური ინექციური მოწყობილობების, სამკურნალო პრეპარატების, დიაგნოსტიკის მეთოდებისა და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების ყველასთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას და, აგრეთვე, სამეცნიერო კვლევების რაოდენობის გაზრდას".

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნარკომანია თავისთავად მძიმე ავადმყოფობაა, რომელიც ანგრევს და ანადგურებს ორგანიზმს, ამცირებს სიცოცხლის ხანგრძლივობას, ხოლო თუ იმასაც გავიხსენებთ, რაოდენ დიდია მისი მომხმარებლების აივ/შიდსით დაინფეცირების საშიშროება, შემდეგ კი ამ საშიშროების საზოგადოებაზე გავრცობა, "ცხვირაბზეკილი" დამოკიდებულება სიკეთემდე არ მიგვიყვანს. სანამ ჩვენი საზოგადოება გულთან არ მიიტანს გზააბნეული ნარკომანის ტკივილს, მანამ საშიშროება თავად მასაც დაემუქრება.

მართალია, ძნელი წარმოსადგენია, რომ მაღალ პრინციპებზე აღზრდილი, ზნეობრივად ძლიერ ოჯახის შვილი, ცდუნებას ან ვინმეს ნებას აჰყვეს, მაგრამ გულზე ხელი დაიდეთ, რამდენი ასეთი ოჯახი გეგულებათ საქართველოში? ჩვენც სწორედ ეს გვაღელვებს! ჩვენი შვილების დიდ ნაწილს ყალბი ზნეობრივი ღირებულებები ჩამოუყალიბდა და, გამორიცხული არ არის, რომ ნარკომანია მათთვის საზოგადოებაში "ღირსეული" ადგილის დასამკვიდრებლად ერთადერთი საშუალება იყოს. ამიტომაც მოხდა ქურდული მენტალიტეტისა და ნარკომანების - "კარგ ტიპებად" შერაცხვა, განსაკუთრებით გოგონების მხრიდან, რასაც, სხვათაშორის, გოგონათა შორის ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა რიცხვის მკვეთრი ზრდა და "გაახალგაზრდავება" მოჰყვა. ამიტომაც მოვუწოდებთ საზოგადოებას, მეტი მიმტევებლობა გამოიჩინოს არა ნარკომანიის, არამედ, შეუგნებლად თუ სუსტი ნებისყ

მოკლედ

"რეალ სოსიედადის" ფეხბურთელი რამდენი თვით დაისვენებს

ესპანეთის ჩემპიონატის მატჩში "რასინგის" წინააღმდეგ "რეალ სოსიედადის" ნახევარმცველმა მიგელ არანბურუმ მარჯვენა მუხლის მყესები გაიწყვიტა და რამდენიმე თვით დაემშვიდობა ფეხბურთს. უეფას ოფიციალური საიტი იტყობინება, რომ შეშუპების გამო ექიმებს საშუალება არ მიეცათ ზუსტი დიაგნოზი დაესვათ, თუმცა რამდენიმე დღეში უფრო ნათელი გახდება ის ვადები, რომელსაც ფეხბურთელი ფეხბურთის გარეშე გაატარებს.

"პარმას" ნახევარმცველი დისკვალიფიცირებულია

იტალიური "პარმას" ნახევარმცველმა დომენიკო მორფეომ 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. ეს ვერდიქტი ფეხბურთელს "რეჯჯინასთან" შეხვედრის დროს მიღებული წითელი ბარათის გამო გამოუტანეს. მორფეომ ჯერ მეტოქის ფეხბურთელს ჩაარტყა, შემდეგ კი მატჩის არბიტრსაც ხელი ჰკრა. საინტერესოა, რომ იმ მატჩში მორფეო მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდა. ფეხბურთელი მინდორზე დაბრუნებას მხოლოდ 18 იანვარს შესძლებს.

ოლიმპიური ჩემპიონი სპორტიდან მიდის

სააგენტო BBC-ის ცნობით, მძლეოსნობაში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი კელი ჰოლმსი სპორტულ კარიერას ასრულებს.

დე იონგი "აიაქსს" ტოვებს

ნაიჯელ დე იონგმა განაცხადა, რომ ამსტერდამის "აიაქსს" დატოვებს. "ვგრძნობ, რომ ეს ნაბიჯი უნდა გადავდგა და გადავდგამ კიდეც" - განაცხადა მან. ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ჯერჯერობით არცერთ კლუბთან კონტაქტზე არ გადის, რადგან სურს, რომ პირველმა მისი განზრახვის შესახებ "აიაქსმა" შეიტყოს. დე იონგმა ამსტერდამელთა შემადგენლობაში ჰოლანდიის ჩემპიონატში 91 მატჩი გამართა და რვა გოლი გაიტანა.

ფრომ "ლანსი" აირჩია

საფრანგეთის ჩემპიონის "ლიონის" ფორვარდი პიერ-ალენ ფრო სეზონის ბოლომდე იჯარის წესით "ლანსის" ღირსებას დაიცავს. შეთანხმება გუშინ მოხდა, მას შემდეგ, რაც 25 წლის ფორვარდი ტრანსფერს დაყაბულდა. ფრო "ლიონში" "სოშოდან" 2004 წლის ივნისში გადავიდა. ვარაუდობენ, რომ ფეხბურთელი უკვე ამ უქმეებზე ითამაშებს ჩრდილოურ დერბიში "ლილის" წინააღმდეგ.

მცხეთის რაიონის არასასოფლო-სამეურნეო მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს აუქციონს დიღმის ყოფილი სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიიდან ქვემოთ ჩამოთვლილი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შემდეგი ფართობების გასაყიდად:

1. 2.48 ჰა;
2. 2.09 ჰა;
3. 0.6 ჰა;
4. 2.5 ჰა.

საწყისი გასაყიდი ფასია: 1 კვ მ მიწის ფართობი 45 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. აუქციონის "ბე" შეადგენს გასაყიდი ფასის 10%-ს. მყიდველის მიერ, ნაკვეთის გამოსაყიდი თანხის გარდა, გადახდილ უნდა იქნეს ობიექტის გასაყიდად მომზადებისათვის გაცემული ხარჯები.

აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში განცხადების გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30 კალენდარული დღის განმავლობაში. თუ 30-ე დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო სამუშაო დღის 12.00 საათზე. აუქციონი ჩატარდება განცხადებების მიღებისათვის განსაზღვრული ვადის დამთავრების მეორე დღის 11.00 საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ ნასაყიდ ნაკვეთს.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს "ბე"-ს გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია.

თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

"ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: "სახალხო ბანკის" მცხეთის ფილიალი, ა/ა 33030001, კოდი 236033234. მცხეთის რაიონის გამგეობა.

კომისიის მისამართი და საკონტაქტო ტელეფონია: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. №73, ტელ: 8 (27-32) 27-27.

განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 5 აგვისტოს №56 განკარგულებით სააქციო საზოგადოება "ქართულ ბანკს" გაუუქმდა საბანკო საქმიანობის ლიცენზია და მიმდინარეობს სალიკვიდაციო პროცესი.

სალიკვიდაციო კომისია განმეორებით აცხადებს, რომ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომლებსაც აქვთ რაიმე სახის მოთხოვნა სს "ქართული ბანკის" მიმართ, ვალდებულნი არიან სასწრაფოდ გამოცხადდენ მისამართზე: ქ. თბილისი, დოლიძის ქუჩა №2-ში.

აღნიშნულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი მოთხოვნის ნამდვილობის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები.

ტელ: 33 04 22, 33 30 42

ლიკვიდატორი

კალათბურთი

როცა ხუთოსნობა საკმარისი არაა...

ფაჩულიას 5 ქულა და 5 მოხსნა

მამუკა ხოშტარია

"ნბა"-ში მორიგი მატჩები გაიმართა. ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს დენვერში გამართული შეხვედრა იწვევდა, სადაც ზაზა ფაჩულიას "ატლანტა" ადგილობრივ "ნაგეთსს" დაუპირისპირდა. თამაში მასპინძლებმა კარგად დაიწყეს და თავიდანვე დანინაურდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა დენვერის ლიდერი, კარმელო ენტონი. მას მხარი აუბა ვეტერანმა მარკუს კემბიმ და "ნაგეთსმა" პირველი მეოთხედი ათქულიანი სხვაობით მოიგო. ამ თამაშში "ატლანტას" ლიდერის ფუნქციები ელ ჰარინგტონმა აიღო თავის თავზე, რაც კარგად გამოუვიდა და საბოლოოდ თამაშში 35 ქულას მოუყარა თავი (რაც მისთვის სეზონის საუკეთესო მაჩვენებელია). სწორედ ჰარინგტონის აქტიურობის წყალობით "ჰოუქსი" ნელ-ნელა გონს მოვიდა და ჩამორჩენის აღმოფხვრას შეუდგა. ბოლო მეოთხედის წინ "ატლანტა" მხოლოდ ორ ქულას აგებდა, მაგრამ მეტის გაკეთება "ქორებმა" ვერ მოახერხეს და 17 შეხვედრაში მეთხუთმეტედ დამარცხდნენ. ამ თამაშში ზაზა უფრო შავი სამუშაოს შესრულებით იყო დაკავებული. ფაქტობრივად, ფარქვეშ იგი მარტო ებრძოდა კენიონ მარტინს და მარკუს კემბის, რადგან "ატლანტას" მძიმე ფორვარდი ჯოშ სმიტი ტრამვირებულია, ხოლო მის შემცვლელს, ესტებან ბაბტისტას, მიუხედავად იმისა, რომ ზაზაზე ერთი წლით უფროსია, გამოცდილება აშკარად აკლია. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა კარგი თამაშით და ორმაგი დუბლებით იმდენად გაგვანებივრა, რომ ამ შეხვედრაში 31 წუთში გაკეთებულ 5 ქულასა და 5 მოხსნას ზაზას კარგ შედეგად ნამდვილად ვერ ჩავუთვლით.

ფაჩულია თანდათან "ატლანტას" ცენტრალური ფიგურა ხდება.

ნიკა ცქიტიშვილის "მინესოტამ" "იუტა ჯაზს" სძლია: 91:77. სამწუხაროდ, ნიკას კვლავ არ უთამაშია.

გაგაცნობთ სხვა მატჩების შედეგებს:

"ჰიუსტონი როკეტსი"	91 : 73
"ბოსტონი სელტიკსი"	
"კლივლენდი კავალიერსი"	102 : 97
"საკრამენტო კინგსი"	
"ლოს-ანჯელეს ლეიკერსი	111 : 92
"მილუოკი ბაქსი"	
"ფენიქს სანსი"	130 : 85
"პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი"	
"ვაშინგტონ ვიზარდსი"	119 : 111
"ტორონტო რეპტორსი"	

ფეხბურთი

ლორენცო სანსი: "რა ხდება არავინ იცის"

"სამეფო კლუბის" საქმეები ბოლო დროს საკმაოდ აირია და ბევრისთვის ბუნდოვანი შეიქმნა კლუბში მიმდინარე მოვლენები. "რეალმა" ბოლო ორი წლის განმავლობაში მეექვსე მწვრთნელი გამოიცვალა. ახლახანს კი პოსტის დატოვების შესახებ განცხადება კლუბის იტალიელმა სპორტულმა დირექტორმა არიგო საკიმ გააკეთა. ეს ყველაფერი კი კლუბში არსებულ კრიზისსა და გაურკვევლობაზე მეტყველებს. მადრიდის "რეალის" ყოფილი პრეზიდენტი ლორენცო სანსი კლუბის შესახებ თავის მოსაზრებებს გადმოგვცემს.

"რეალის" სპორტული პროექტები იქ დამთავრდა, როცა ხელმძღვანელობამ იმ გუნდის გლობალური გარდაქმნა დაიწყო, რომელიც ჩვენ პერესს დავუტოვეთ. ჩემი სიტყვების დადასტურება სტატისტიკით იოლად შეიძლება - ამბობს სანსი - "სამეფო კლუბმა" ესპანეთის ჩემპიონატში გამარჯვება ორი წლის წინათ შეწყვიტა, როცა კარდინალურად შეიცვალა თვითონ სპორტული პროექტები. აქამდე ის მცირე შესწორებებით მოქმედებდა იმ სახით, რომლითაც ჩვენ ფლორენტინო პერესს დავუტოვეთ. ხოლო, როცა პერესმა გლობალური კომერციული გარდაქმნები დაიწყო, შედეგებიც შეიცვალა" - განაცხადა "რეალის" ყოფილმა პრეზიდენტმა, რომელმაც 2002 წელს ფლორენტინო პერესთან წააგო საპრეზიდენტო არჩევნები.

ლორენცო სანსი ამბობს, რომ "რეალი" შეიცვალა.

"როცა კლუბს მე ვხელმძღვანელობდი, ვყოველთვის ვიცოდი რა ხდებოდა გუნდში. ახლა მდგომარეობა შეიცვალა იმდენად, რომ მე არაფერი აღარ მესმის. მე არ ვამბობ, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდა ან უარესობისკენ შეიცვალა - უბრალოდ სხვანაირი გახდა. ახლა ჩვენ "გალაქტიკურები" ვართ. ადრე არ ვიყავით. ადრე ტიტულებს ვიგებდით, ახლა კი არა... რაღაც შეიცვალა" - რეზიუმე გააკეთა ლორენცო სანსმა.

"არ ვიცი, შეიძლება უბრალოდ გუნდი უნდა იყო და არა "გალაქტიკა" და მთელი არსება გუნდს უნდა მიუძღვნა იმის ნაცვლად, რომ მუდმივად აცხადებდე, რომ მსოფლიოში საუკეთესოები ვართ... მსოფლიოში საუკეთესოები ამას მინდორზე ამტკიცებენ" - დაასკვნა სანსმა.

"მწვრთნელები ჩემს ეპოქაშიც იცვლებოდნენ, მაგრამ ისინი ჯილდოებს იგებდნენ და ამის მიუხედავად უმოწყალო კრიტიკის ქარცეცხლში ეხვეოდნენ. თუმცა ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში ვერ გაიგონებდით, რომ მწვრთნელის მხარდაჭერა სტაბილურობის აუცილებელი პირობაა... და ამის შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში მწვრთნელს პოსტი დაეკარგა. ხელმძღვანელობას კი განეცხადებინა, რომ მისი დათხოვნა საუკეთესო გადაწყვეტილება იყო" - ამბობს "რეალის" ყოფილი პრეზიდენტი.

სანსი ვერ ხედავს იმის ალბათობას, რომ "რეალის" პრეზიდენტის პოსტზე კიდევ შეეჯიბროს ფლორენტინო პერესს და მთელ თავის ამბიციურ გეგმებს სხვა კლუბს - "პარმას" უძღვნის, რომლის სრულუფლებიანი მფლობელი რამდენიმე იურიდიული საკითხის მოგვარების შემდეგ გახდება.

უკვე საქართველოში

ქართველი რეჟისორის ამერიკული წარმატებები

სოფო კილასონია

როცა ქართული კინოს მომავალზე ვიწყებთ საუბარს, რამედნიმე სახელსა და გვარს ვასახელებთ ხოლმე და მათ მიღწევებზე ვლაპარაკობთ. ისინი ბევრნი ნამდვილად არ არიან. ახალგაზრდა რეჟისორები, რომლებიც იმედს გვისახავენ, აქამდე ძირითადად სადმე ევროპიდან, შტატებიდან, მოკლედ დასავლეთიდან გვიგზავნიდნენ მოკითხვას. ლევან კოღუაშვილი ერთ-ერთი მათგანია, ალბათ ყველაზე გამორჩეული და საინტერესო, ვამბობთ ამას იმის მიხედვით, რაც გვინახავს და რაც გაგვიგონია. ამჟამად იგი თბილისშია, ამის მიზეზი კი სასიხარულო ამბავი, კიდევ ერთი ახალი ქართული ფილმის პერსპექტივაში დაბადებაა. თუმცა, მხოლოდ სამომავლო გეგმები არ ყოფილა ჩვენი შეხვედრის მიზეზი. რეჟისორი სამშობლოში მეტად მნიშვნელოვანი წარმატებებით დაბრუნდა.

ლევან კოღუაშვილის ბოლო, მოკლემეტრაჟიანი ფილმი "ვალი" სხვა მრავალი წარმატების პარალელურად მანჰაიმის კინოფესტივალზეც შეამჩნიეს და ჟიურიმ სპეციალური პრიზით დაამშვენა მისი "ბიოგრაფია". ამ ფილმის ისტორია კი ნამდვილად ვრცელია და აღნიშვნის ღირსიც. ამჯერად "ვალის" ავტორი კიდევ უფრო პრესტიჟულ კონკურსზე გასამგზავრებლად ემზადება. ამერიკაში მაცხოვრებელ ქართველებზე გადაღებულ პატარა კინოსურათს კინოფესტივალ "სანდანსის" მაყურებელი იხილავს და ალბათ სათანადოდ შეაფასებს.

ლევან კოღუაშვილი: "პრიზი ავიღეთ მანჰაიმში. საკმაოდ ძველი ფესტივალია. ტრადიციული და ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მოვლენაა თანამედროვე კინოში, რადგანაც საავტორო კინოს მხარდაჭერის ტრადიციები აქვს, თანაც უკვე დიდი ხანია. ცნობილია იმით, რომ ბევრი ევროპელი რეჟისორი პირველად იქ აღმოაჩინეს. მაგალითად, ფასბინდერმა კარიერა იქიდან დაიწყო და მისი ბოლო ფილმის ჩვენებაც იქ მოხდა. მანჰაიმის ფესტივალი უკავშირდება ასევე ტრიუფოს პირველი ფილმის ჩვენებას და სხვა მრავალს. მან ხელი შეუწყო ძალიან მრავალს და ძალიან კარგი რეპუტაცია აქვს. თუ მაგალითად, ეძებ პროდიუსერს და საერთოდ კონტაქტებს, ითვლება, რომ მანჰაიმი ამ თავლსაზრისითაც ძალიან საინტერესოა. ამიტომაც ძალიან სასარგებლოა იქ მოხვედრა ნებისმიერისთვის, დამწყები და სტაჟიანი რეჟისორისთვის. ყველასთვის, ვინც საავტორო კინოს აკეთებს. საერთოდ ამ ფესტივალზე ფართოდ წარმოჩინდება ახალი ევროპული კინო, ძალიან მკაცრად არჩევენ ფილმებს და ითვლება, რომ ძალიან ძლიერი კონკურსია. იქ ჩადიან ცნობილი რეჟისორები, ოთარ იოსელიანიც ხშირად სტუმრობს მანჰაიმს... მოკლემეტრაჟიანი ფილმებისთვის იყო ორი პრიზი: მთავარი, რომელიც დანიურმა ფილმმა აიღო და ჟიურის სპეციალური პრიზი, რომელიც ჩვენ დავიმსახურეთ."

ლევან კოღუაშვილი.

"ვალზე" მუშაობა ლევან კოღუაშვილმა 2005 წელს დაასრულა. ეს ფილმი მისი საკურსო ნამუშევარი გახლავთ. მას შემდეგ, რაც რუსეთის სახელმწიფო კინოინსტიტუტი დაამთავრა, ნიუ იორკის უნივერსიტეტის კინომაგისტრატურის სამწლიანი კურსი გაირა და სულ მალე სადიპლომო ნამუშევარსაც შექმნის. "ვალი", თხუთმეტწუთიანი ფილმია, რომელიც რეჟიროსმა საკურსო ფილმის სახით წარადგინა, თუმცა ამას ფილმის წარმატებისთვის ხელი არ შეუშლია. მანჰაიმამდე რამდენიმე პრიზი იყო: ნიუ იორკის უნივერსიტეტის კინოფესტივალზე აიღო მეორე პრიზი. საერთოდ ეს კონკურსი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული მოვლენაა, რაც ალბათ იმან განაპირობა, რომ უნივერსიტეტში თავის დროზე ძალიან ცნობილი ამერიკელი რეჟისორები სწავლობდნენ, თუნდაც ვუდი ალენი, ოლივერ სტოუნი და სხვები. "ვალი" ლოს ანჯელესში, რეჟისორთა გილდიას უჩვენეს, საუკეთესო მოკლემეტრაჟიან ფილმთა სიაში მოხვდა და მაყურებლის სიმპათიის პრიზიც აიღო. მან ჰემპტონის საერთაშორისო ფესტივალზე საუკეთესო სტუდენტური ფილმის ნომინაციაში გაიმარჯვა, ამას კი "მზეზე" მიმდინარე "ქართული ეროვნული კინოფესტივალი" მოჰყვა, სადაც საუკეთესო რეჟისურისთვის დაჯილდოვდა. კოღუაშვილის ეს უკანასკნელი ფილმი გამორჩეული ტექნიკური ხერხით არის გადაღებული. კონკრეტულად კი ციფრული აპარატის ვიდეო რეჟიმით. ამას ორი მიზეზი ჰქონია: ბიუჯეტის სიმცირე და თან უცნაური გამოსახულების ხარისხიც მოსწონებიათ: "არც ვიდეოს ჰგავს არც ფირს, თითქოს უხარისხოა, მაგრამ ამ უხარისხობაში არის ის ფაქტურა, რომელიც ძალიან საინტერესო გამოდგა და ისტორიას მოუხდა. თავიდან ყველას ეგონა, რომ უაზრო ავანტიურა იყო, მაგრამ მერე აღიარეს, რომ კარგი გამოვიდა. რაც შეეხება სიუჟეტს. ეს არის ქართველი ემიგრანტი კაცების ისტორია, რომლებიც დგანან ბრუკლინში და სამუშაოს ელიან. დაახლოებით იგივე ხდება, რაც ელიავას ბაზრობაზე. იქ მთელი ამბები ხდება, მაგრამ ჩემი მიზანი იყო გამეხილა ის, რაც ერთგვარი სახეა ჩვენი ქვეყნის დღევანდელობისა და რეალობის. ფილმი იმაზეა, რომ ადამიანად ამ სიტუაციაშიც უნდა დარჩე და ეს მაინც შესაძლებელია. ამაშია ხსნა... ის გარემო, რომელიც გადავიღე, სუფთა კინემატოგრაფიულადაც ძალიან საინტერესოა. მონაწილეობა მიიღეს როგორც პროფესიონალმა მსახიობებმა, ისე არაპროფესიონალებმა."

სანამ "ვალი" იქნებოდა რამდენიმე ფილმი და გარკვეული წარმატებები უკვე იყო. "გიკში" სწავლის პერიოდში ლევანის ფილმები უკვე ჯილდოვდებოდა სხვადასხვა პრიზებით. მისი სადიპლომო ნამუშევარი "ორი" არაერთი ცნობილი ფესტივალის მაყურებელმა იხილა. რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა აქ საკუთარი შესაძლებლობებით ვერავინ დააინტერესა და თბილისში მუშაობა ვერ მოახერხა. მაშინ გამოჩნდა ამერიკაში წასვლის შანსი და წავიდა კიდეც. სამი წლის განმავლობაში საკმაოდ ბევრი იმუშავა და ნიუ იორკის ინსტიტუტის გამორჩეულ სტუდენტადაც იქცა. "ვალის" წარმატებამ რეჟისორს საკმაოდ ფართოდ გაუხსნა კარები თუნდაც ჰოლივუდისკენ. დარჩენის და მუშაობის გაგრძელების შანსი ნამდვილად იყო, მაგრამ საქართველოში მეორედ დაბრუნდა.

"ალტერ-ჯგუფი" ის ბიზნესკომპანიაა, რომელიც ლევან კოღუაშვილის საქმიანობით დაინტერესდა და მნიშვნელოვან ინვესტიციას დებს იმაში, რომ რეჟისორმა ქართული კინო გადაიღოს. კახა უგულავას კომპანიამ კინო დაინახა, როგორც ბიზნესი და იმ მცირერიცხოვან ადამიანთა სიაში ჩაეწერნენ, რომლებიც თანხას ხელოვნებაში დებენ და ქართულ კინოს მომგებიან საქმედ აღიქვამენ.

ლევან კოღუაშვილი: "ალტერ-ჯგუფს" საქმისადმი ძალიან სერიოზული დამოკიდებულება აქვს და კინოს უყურებენ, როგორც ბიზნესს. ეს ძალიან კარგია ჩემთვის და ზოგადად ქართული კინოსთვის, რომელიც ერთი წერტილიდან უნდა დაიძრას. ამჟამად ახალი ფილმის სცენარზე ვმუშაობ და იმაზეც ვფიქრობ, ვინ ითამაშებს. სიმართლე გითხრათ, ისე გამოდის, რომ სცენარს ერთი ქართველი მსახიობი მამაკაცისთვის ვწერ, მაგრამ მის ვინაობას ჯერ არ გავამხელ. გადაღებებს ალბათ იანვრიდან დავიწყებთ, მანამდე კი "სანდანსის" კონკურსი გველის, სადაც მიგვიწვიეს და "ვალი" უნდა ვუჩვენოთ. ეს კინოკონკურსი რობერტ რედფორდის დაარსებულია და ამერიკაში მთავარ ფესტივალად ითვლება. თავის დროზე შეიქმნა, როგორც ოსკარების ერთგვარი ალტერნატივა. სწორედ, რომ საავტორო ფილმების მხარდასაჭერად. ფესტივალი იუტას შტატში ტარდება და მთავარი მოვლენაა ამერიკაში, საავტორო კინემატოგრაფიის მიმართულებით. იქ მიწვევა ძალიან სერიოზული და სასიხარულო რამაა. იქ ჩასვლა კონტაქტებისა და მომავალი დაფინანსების მიღების მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია...

დავბრუნებულიყავი თუ დავრჩენილიყავი - ეს დილემა ნამდვილად იყო. შემომთავაზეს "ვალის" დიდი ვერსია გამეკეთებინა, პროდიუსერისგანაც კი იყო შემოთავაზება, მაგრამ მე უკვე ამ ქართული ფილმის სცენარზე ვმუშაობდი. ანუ ამ საქმისთვის თავი უნდა დამენებებინა. რაღაც პერიოდი მართლაც ვფიქრობდი რა მექნა, მაგრამ ორმა ფაქტორმა იმოქმედა იმაზე, რომ დავრჩი: პირველი იყო ის, რომ აქ უკვე შეთანხმება იყო მიღწეული და მეორე - როგორც რეჟისორი, შინაგანად მივხვდი, რომელი ფილმი უფრო მინდოდა რომ გამეკეთებინა. ეს ქართული ფილმია. არ ვიცი, რა იქნება სამომავლოდ, იმ ფილმის შემდეგ, რომელსაც აქ გადავიღებ, მაგრამ მე ჩემს თავს, როგორც ქართველ რეჟისორს, რეალურად საქართველოში ვხედავ."

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი.....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქეროსინებში არ განიხილება).

ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲚᲔᲒ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲒᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲖᲔ:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (ცენტრი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "საბურთალო II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გლდანის II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაჟას მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვატერპოლოს 45 "სოფმეჩის" შენობის ხლ სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფურცელ ფოსტით შემდეგ მისამართზე: Off? თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

FM ქცნობი 98.0

გადაცემა ეთერშია ყოველდღე
20 საათზე
შაბათ-კვირის გარდა

ლაშა და შალვა

ლაშა ბუღაძე: "დიალოგების" სტუმარია შალვა ნათელაშვილი. ლაპარაკი კი გვექნება ეთიკის კოდექსზე. რამდენად შეიძლება, რომ ის პრაქტიკულად განხორციელდეს რეალობაში?

შალვა ნათელაშვილი: მე მინდა თქვენს მსმენელს და მთელ საქართველოს ვუსურვო ბედნიერი მომავალი და იმ მდგომარეობის გამოსწორება, რომელიც დღეს ჩვენს სამშობლოშია და ის, რომ მომავალში აღარ იყოს საუბარი აღმაშფოთებელ თემებზე, მაგალითად, ისეთზე, რაც დღეს ხდება ხელისუფლების დაკვეთით და არა უცხოპლანეტელების მიერ. იგივე, რაც მოხდა საკრებულოში, ყველამ ვიცით, რომ დეპუტატები ხშირად ჩხუბობენ, მაგრამ ეს ხდება ფილიპინების, სინგაპურის პარლამენტებში, ბოლო ჩხუბი იაპონიაში მოხდა დეპუტატთა სასადილოში. იქ თეფშები ჰაერში დაფრინავდა, მაგრამ საკრებულოში უპრეცედენტო ამბავს ჰქონდა ადგილი. შეიარაღებული ჯგუფი შეიჭრა და სახელმწიფო ხელისუფლების დარბაზში თავს დაესხნენ ლეიბორისტული პარტიის ფრაქციის ექვს დეპუტატს. ეს არ მომხდარა სააკაშვილის ნებართვის გარეშე, მან კიევიდან გასცა განკარგულება და ეს დავალება ბოკერიამ განახორციელა. ეს სქემაა ჩვენი ამერიკელი მეგობრებისა, უნდათ, რომ ამ გზით განახორციელონ დემოკრატია ჩვენთან, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ მოძალადე პრეზიდენტები დემოკრატიას სადმე განავითარებენ კარგად. რაც გააკეთა სააკაშვილმა, როცა პარლამენტის სხდომაზე შევარდა ძალით და უკან მას მისდევდა ბანდა კეზერაშვილების, კირკიტაძეების და ბოკერიების, დაახლოებით იგივე განმეორდა ახლა საკრებულოში. პრეზიდენტები მიდიან და მოდიან, მაგრამ პარლამენტისა და საკრებულოს დარბევა კაცობრიობის ისტორიამ არ იცის.

ლაშა ბუღაძე: მაგრამ მაშინ, როცა სააკაშვილი პარლამენტში შევიდა, მის უკან ხალხიც ხომ იდგა?

შალვა ნათელაშვილი: ის ხალხი შევარდა შევარდნაძის კანცელარიაში. მაშინ ხალხის ზურგზე შევიდა ის პოლიტიკური ძალა, ვინც გააგრძელა შევარდნაძიზმის სისტემა. ის დასვეს კრწანისში ხელშეუხებლად და მისი სისტემა შეინარჩუნეს. უარესი მიმართულებით წაიყვანეს ქვეყანა და უარესად გააღარიბეს ხალხი. ეს გაკეთდა იმიტომ, რომ რამე სხვა ძალა არ მოსულიყო შევარდნაძის შემდეგ, ისეთი, რომელიც მოემსახურებოდა ხალხს და რეალურად რამეს გააკეთებდა. მინდა ვთქვა ერთი, რომ წარმომადგენლობითი ორგანოს დარბევა, რაც არ უნდა მიუღებელს ამბობდეს ოპონენტი, არსად აღარ ხდება საქართველოს გარდა. აღნიშნული პრაქტიკა დანერგა სააკაშვილმა. ეს კი ამ ხელისუფლებას ძალიან ცუდად მოუბრუნდება, ისევ და ისევ ხალხისგან.

ლაშა ბუღაძე: თქვენის აზრით, რატომ გაუჩნდა აგრესია საზოგადოების ერთ ნაწილს ამ ხელისუფლების მიმართ? ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ წინა ხელისუფლება რამეს აკეთებდა, მაგრამ საზოგადოება მაინც ინერტული იყო. შესაძლოა, იდენტიფიკაციის მომენტები იყო ნაკლები იმ ხელისუფლებასთან ხალხის მხრიდან. ახლა რა ხდება, იქნებ და ხალხს მეტი მოლოდინი ჰქონდა, მეტი პრეტენზია და გაუცრუვდა იმედები? რა შეცდომები აქვს ამ მთავრობას ისეთი, რომელთა გამოც ასეთ მძიმე სურათს ხატავთ?

შალვა ნათელაშვილი: იგივე ეპოქა გრძელდება. შევარდნაძის სისტემა სახეზეა და ეს არის მთავარი მიზეზი მღელვარებისა. შეიცვალნენ პირველი პირები, მთავარი როლების შემსრულებლები, მაგრამ სცენარი იგივეა. კანონები უარესია, ცხოვრების ტემპი ჩავარდნილია, ეკონომიკა გარდაცვლილია, სოფლის მეურნეობა განადგურებულია, ეროვნული სულიერება, კულტურა, განათლება, მეცნიერება, ხელოვნება ოფიციალურად ლიკვიდირებულია. დღეს გამოცხადდა, რომ სკოლების შენობებს ყიდიან. ის, რაც უნდოდათ ადრე გაეკეთებინათ, მაგრამ ვერ რისკავდნენ, ახლა ბედავენ. უმაღლესი სასამართლოს წევრები აჯანყდნენ, მათზე განხორციელებული ზეწოლის გამო. ეს არ გაუკეთებია არც ერთი რეჟიმის მოსამართლეს, რადგან დიქტატორებიც კი უფრთხილდებოდნენ კანონის დამოუკიდებლობას, რადგანაც ეს მათი უსაფრთხოების გარანტიც იყო. დღეს, ცხრა მოსამართლე გადადგა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ხელისუფლების აღარცერთი შტო აღარ არის ჯანმრთელი. დღეს ბევრი ლაპარაკია, პენსიებზე, ხელფასებზე, და ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ თუ არ იქნა დაწესებული საარსებო მინიმუმი, რაც ნებისმიერი მთავრობის მოვალეობაა, არაფერი შეიცვლება. ახლა რასაც აკეთებენ ამ მიმართულებით, ეფემერაა და ზღაპარი.

ლაშა ბუღაძე: ანუ გინდათ თქვათ, რომ ხელისუფლებას არ სურს ხელფასები გაზარდოს?

შალვა ნათელაშვილი: ჩვენს პოლიტიკაში ბევრი რამ მშრალი და ზოგადი გამოდის. ხშირად ეჭვდებიან: ეს კაცი ოპოზიციონერობას ხომ არ ჩემულობსო. ამიტომაც ეს ძალიან კარგი კითხვაა და აგიხსნით. თუ ქვეყანაში დადებითი ტენდენციებია და შენ ცდილობ უკუღმა დახატო რეალობა, ე.ი. უკვე კარიერიზმით ხარ დაბადებული ან ფსიქოლოგიაში ვერ გაქვს საქმე კარგად. მაგრამ, რა ვქნათ? ამას წინათ ჩავხედეთ ინტერნეტს, არ დავუჯერეთ მონაცემებს და დამატებითი მასალა მოვიძიეთ. მსოფლიო ბანკიდან და პარიზის კლუბიდან მივიღეთ პასუხები, რომლის თანახმადაც გავიგეთ, რომ სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ მოასწრო ორი წლის განმავლობაში ერთი მილიარდი დოლარის ისე შეჭმა, რომ ჩვენ, პოლიტიკოსებმა ვერაფერი ვერ გავიგეთ. მაგალითად, ამერიკული დახმარებები, ეს კრედიტი კი არაა, ხალხისთვისაა განკუთვნილი. კიდევ დემოკრატიული პროგრამები: თოთხმეტი მილიონი. ეკონომიკა და სოციალური რეფორმა: 44 მილიონი, უსაფრთხოება და ძალოვანი სტრუქტურები: 78 მილიონი და კიდევ ჰუმანიტარული დახმარებები. ჩვენ გადავამოწმეთ და არც ერთი მიმართულებით თანხები ადრესატამდე არ მისულა. არადა არის იმის საშუალება, ამდენი ვაებაში ჩავარდნილი და უბედური ადამიანი არ გვყავდეს.

მსმენელი: როცა ლეიბორისტებმა საკრებულოში გაიმარჯვეს, რატომ არ ისურვეთ საკრებულოს თავმჯდომარე გამხდარიყავით. იმიტომ ხომ არა, რომ საქმის კეთება არ გინდოდათ? მაშინ სააკაშვილმა დათმო პარლამენტის მანდატი და საკრებულოში წავიდა. მაშინ მას დასცინოდით სახურავებზე დარბისო, ბავშვების მოედნებს აკეთებსო, მან ირბინა და ხალხის სიყვარული და ნდობა მოიპოვა, თქვენ კი გვერდზე გადექით.

სიძველეთა გამაცოცხლებელი

გიორგი ჩუბინაშვილის დაბადებიდან 120 წლისთავის გამო

სამსონ ლეჟავა

საქართველო მართალია, პატარა ქვეყანაა, მაგრამ მას ჰყავს უდავოდ საერთაშორისო მასშტაბისა და გაქანების ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, რომელთა სახელოვნებო თუ სამეცნიერო მემკვიდრეობა დიდად სცილდება როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ განზომილებებს. ამგვარ პიროვნებათა შორის, გიორგი ჩუბინაშვილი უდავოდ ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ფიგურაა. ის ძალიან დიდი მეცნიერია, რომელმაც ქართველოლოგიის სფეროში სრულებით გამორჩეული წვლილი შეიტანა. ვერც ფუნდამენტური ევროპული განათლება, ვერც განუზომელი შრომისმოყვარეობა, ვერც მართლაც უიშვიათესი სიყვარული საკუთარი სამშობლოსი, ვერ აღმოჩნდებოდა საკმარისი, რომ არა ღვთით ბოძებული განსაკუთრებული ნიჭი, მხატვრულ ნაწარმოებში, მის თვისობრიობაში ჩაწვდომისა და ამოუძიებელის ამოცნობის უიშვიათესი უნარიანობა, რაც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. არც მის მიერ ძალზე ძლიერი და ათწლეულთა მანძილზე თვალსაჩინოდ შედეგიანი, სახელოვნებათმცოდნეო სკოლის დაფუძნებაა ნაკლებად მნიშვნელოვანი ჩვენი კულტურისათვის. როდის მოუხდა ბატონ გიორგის თავისი გადაუჭარბებლად განუზომელი ფასეულობის მქონე სამეცნიერო საქმიანობის გაშლა? მართლაც ურთულეს ეპოქაში, როდესაც ხანმოკლე დამოუკიდებლობის შემდგომ, ანაქრონისტული და ატავისტური იმპერიის ძალმომრეობის შედეგად - კვლავ დაპყრობილ საქართველოს უნდა მოეძებნა საკუთარ თავში ენერგია და შესაძლებლობები სულიერებისა გადასარჩენად. საბედნიეროდ, ქვეყანაში იმხანად არსებობდნენ ილიას ჭეშმარიტი მემკვიდრენი, ისეთი უმწიკვლო და შეუპოვარი პიროვნებანი, რომელთაც საკუთარ მხრებზე იტვირთეს ეს ურთულესი ამოცანა. გიორგი ჩუბინაშვილი ასეთ თავდადებულ რაინდთა საძმოს წევრი იყო მაშინ, როდესაც არ არსებობდა ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, როდესაც დარბეული გახლდათ ჩვენი ეკლესია, როდესაც აბსურდული იდეოლოგია წალეკვას უქადდა ქვეყნის თვითმყოფადობას. დაბეჯითებით ითქმის, რომ მეცნიერებაც წარმოადგენდა იმ უძლიერეს ნავთსაყუდელს, რომელიც მტკიცე, შეუდრეკელ ფარად ედგა საქართველოს. ამ უკომპრომისო ბრძოლის ავანგარდში მყოფთაგან გიორგი ჩუბინაშვილი პირველთაგანი იყო. ამ თვალსაზრისით მისი თავდადება სამაგალითოა.

გიორგი ჩუბინაშვილი.

რა არის ჩვენთვის მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი, ქართული ფრესკული მხატვრობა, ხატწერა, ჭედური ხელოვნება? ის მხოლოდ გარდასულის კუთვნილებაა, პატივმისაგები, მაგრამ შორეული, თუ დღესაც ცოცხალი მოვლენაა, ძალზე აქტუალური, მით უფრო ეკლესიის ამჟამინდელი აღორძინების პერიოდში? პასუხი ერთადერთია: დიახ, ის დღესაც ცოცხალია, უზარმაზარი სასიკეთო ზემოქმედების მომხდენი, მადლით აღვსილი, შემოქმედებითი ენერგიით დამუხტული...

ყოველისავე ამის გაცნობიერებისათვის, ურყევად მეცნიერული არგუმენტირებისათვის, დასაბუთებისათვის, წარმოჩენისათვის დღენიადაგ იღვწოდა ბატონი გიორგი. ის იმავე თვისობრივობის, იმავე ხარისხის, იმავე ძალის შემოქმედებითობით თავადვე იყო აღვსილი, როგორითაც ატენისა თუ ყინწვისის მომხატველნი, ტაძართა ანონიმი მეჩუქურთმენი, ბაგრატისა თუ ალავერდის აღმშენებელნი, დარბაზის, მთიანეთის საცხოვრისთა თუ კოლხური ოდა სახლის აღმმართველნი, ნიკო ფიროსმანაშვილი თუ დავით კაკაბაძე.

მისი ცხოვრების საგულისხმო ეპიზოდი მრავლისმეტყველია: ერთი სათნო მოხუცი ქალბატონის გადმოცემით, ბატონი გიორგი, ბოლნისის სიონში მუშაობისას თურმე ჯერ ლოცულობდა, სანთელს დაანთებდა და მხოლოდ შემდგომ იწყებდა მეცნიერულ კვლევას.

XXI საუკუნის საქართველოსათვის, რომელიც მრავალი განსაცდელის წინაშე დგას, გიორგი ჩუბინაშვილის დარ პიროვნებათა მემკვიდრეობა ეჭვმიუტანლად ყველაზე საიმედო და გულისყურის მისაპყრობი ორიენტირია.

8 დეკემბერი

ნინო ჩიმაკაძე

დღევანდელი დღე მსოფლიო როკ-მუსიკის ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი თარიღია. 1943 წლის 8 დეკემბერს დაიბადა ჯიმ მორისონი, 1980 წლის ამავე დღეს კი ჯონ ლენონი საკუთარმა ფანმა სიცოცხლეს გამოასალმა. ამ ორი პიროვნების როლი მეოცე საუკუნის მუსიკის და ზოგადად, კულტურის განვითარებაში ძალიან დიდია. მათ არა მარტო მუსიკაში, საზოგადოებრივ აზროვნებაშიც ბევრი ცვლილება და სიახლე შეიტანეს.

60-იანი წლებიდან სამყარო სხვანაირი გახდა. ახალგაზრდების დიდი ნაწილი აბსოლუტურად განსხვავებული მსოფლმხედველობით მიუდგა ცხოვრებას. მათთვის ყველაფერი დასაშვები იყო. მთავარ ღირებულებად თავისუფლება მიაჩნდათ. თავისუფლება ხელოვნებაში, სიყვარულში, ქცევაში, აზროვნებაში. ეს ყველაფერი "ბითლზის" Revolution-ით დაიწყო და "დორსის" The End"-ით დამთავრდა. "ჩვენ გვინდა შევცვალოთ თქვენი აზროვნება" - მღეროდა ლენონი. აზროვნება მართლაც შეიცვალა როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით. ვარცხნილობა და აზროვნება ჩარჩოებს გასცდა, გათავისუფლდა. 60-იანი წლების ბოლოს მორისონის "შოკური თერაპიის" წყალობით ახალგაზრდებმა "სხვა სამყაროში გაღწევაც"ისწავლეს (Break on Trough").

ჯიმ მორისონი 27 წლის იყო, როცა გარდაიცვალა. ლენონი 40-ის. ხანმოკლე ცხოვრების მიუხედავად მათ მთელი ეპოქა შექმნეს. მართალია, ის ბოჰემური, გიჟური წლები წარსულს ჩაბარდა, მაგრამ მათი კვალი დღესაც იგრძნობა. ლენონის და მორისონის იდეოლოგია და ცხოვრების სტილი დღესაც ბევრ ახალგაზრდას ხიბლავს. მათ მუსიკას ისევ უსმენენ, ისევ ოცნებობენ მშვიდობაზე, სიყვარულზე და თავისუფლებაზე. რევოლუცია ისევ ძალაშია...

ჯონ ლენონი

ჯიმ მორისონი

ფრანგული მუსიკის საღამო

თამარ ბურჭულაძე

დღეს ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ფრანგული მუსიკის საღამო ეწყობა. საღამოზე ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიური ორკესტრი დაუკრავს, რომელსაც უდირიჟორებს ფრანგი დირიჟორი ვინსან მონტეი.

მონტეი თბილისში საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის მოწვევით ჩამოვიდა. მასთან ერთად თბილისს ფრანგი სოლისტი, კაროლინ მიუტელი ეწვია, რომელიც შეასრულებს პულენკის ოპერას "ადამიანის ხმა". საღამოს რეპერტუარში შედის: ჟორჟ ბიზე - უვერტიურა ოპერიდან "კარმენი", კლოდ დებიუსი - "ზღვა", პოლ დიუკ - "მოსწავლე ჯადოქარი", ფრანსის პულენკი - "ადამიანის ხმა".

ვენსან მონტეი საფრანგეთის ერთ-ერთი წამყვანი დირიჟორია. მას სისტემატურად იწვევენ ნიცის საკრალური მუსიკის ფესტივალზე, ასევე თანამშრომლობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან. სერ ჯონ ელიოტ გარდინერი მას თანაშემწედ იწვევს ახალი დადგმის მოსამზადებლად ციურიხში. 2005/2006 წლის სეზონზე ვენსან მონტეი წარდგება როგორც საფრანგეთის ელჩი მუსიკის სფეროში, საქართველოში, სერბიასა და რუსეთში.

მუსკომედიის ხელმძღვანელობა და საფრანგეთის საელჩო მომავალში 6 ცნობილი დირიჟორის ჩამოყვანას გეგმავს, რაც სიმფონიური ორკესტრის გაზრდას შეუწყობს ხელს. უცხოელი დირიჟორების დაფინანსებას საფრანგეთის საელჩო უზრუნველყოფს. კონცერტები მათი დირიჟორობით თვეში ერთხელ გაიმართება. გაზაფხულზე კი ევგენი მიქელაძის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი დევიდ კლინგე ჩამოვა, რომელიც 3 კონცერტს გამართავს. ერთ-ერთ კონცერტს უხელმძღვანელებს ნიკა მემანიშვილი.

საღამოს დაფინანსებაში მონაწილეობენ: საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი, საფრანგეთის საელჩო, ა. დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი, ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული ხელოვნების ფრანგული ასოციაცია AFFA.

რობი უილიამსმა ფეხბურთის გუნდი ჩამოაყალიბა

ბრიტანელმა მომღერალმა რობი უილიამსმა, ცნობილი ადამიანების შერჩევა დაიწყო თავისი საფეხბურთო გუნდისთვის, რომელიც 27 მაისს მანჩესტერში გამართულ მატჩზე ითამაშებს.

მომღერალმა გუნდში მოიწვია ჯუდ ლოუ, ორლანდო ბლუმი, კორი ბრედლი-უელში, ჯეიმი ტიქსონი და ლონდონის "არსენალის" ყოფილი ფეხბურთელი იან რაიტი. გუნდის მთავარ მწვრთნელად ინგლისელი ტერი ვენეიბლსი დაინიშნა. მათი ვარჯიშები ერთი კვირის განმავლობაში "რეალითი შოუს" სახით გადაიცემა ტელევიზიით. (ITV-ზე)

"უილიამსის გუნდი" შეეჯიბრება სხვა ცნობილ პიროვნებებს. მატჩი საქველმოქმედოა და თამაშზე შემოსული მთლიანი თანხა unicef-ში გადაირიცხება.

საქველმოქმედო რეკვიემი

11 დეკემბერს ფონდი "იავნანა" და ოპერისა და ბალეტის თეატრი მორიგ საქველმოქმედო წარმოდგენას მართავენ. ამჯერად პაატა ბურჭულაძეს კიდევ სამი ქართველი წარმატებული ვოკალისტი მოჰყავს. მაყვალა ქასრაშვილი, ნატო ჭყონია, ბადრი მაისურაძე და თავად ბატონი პაატა, ოპერის თეატრის გუნდთან და ორკესტრთან ერთად ვერდის რეკვიემის პრემიერაზე გვეპატიჟებიან. 11 დეკემბერს ოპერის თეატრის სალაროებში შესული თანხა მთლიანად გადაეცემა ფონდს და სათანადოდ, უსახლკარო პატარებს, რომლებსაც "იავნანა" დიდი ხანია, რაც მფარველობს. საპრემიერო წარმოდგენები კიდევ გაგრძელდება, გასტროლიორებს კი ჩვენი დასის წამყვანი სოლისტები შეცვლიან. 11 დეკემბერს და მომდევნო დღეებში სადირიჟოროპულტთან ზაზა აზმაიფარაშვილი იდგება. საქველმოქმედო საღამო კი 19 საათზე დაიწყება.

24 საათი

მერი ჯეი ბლაიჯი ჯაზის დედოფალს ითამაშებს

სოულის მომღერალი მერი ჯეი ბლაიჯი, MTV-სა და "ფარამაუნთ ფიქჩერსის" ერთობლივ ფილმში ჯაზისა და ბლუზის მომღერალ ნინა სიმონეს როლს ითამაშებს. აქამდე მომღერალს მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლები აქვს განსახიერებული. ფილმი ეხება სიმონეს ახალგაზრდობას და მის ურთიერთობას პროდიუსერ კლიფტონ ჰენდერსონთან.

ნინა სიმონეს კარიერა გასული საუკუნის 50-60-იან წლებში დაიწყო. მისმა დებიუტმა 1954 წელს ნიუ იორკის კარნეგი ჰოლში ბრწყინვალედ ჩაიარა. 60-იან წლებში შავკანიანების მოძრაობას შეუერთდა, რომელიც მათი უფლებების დაცვას ეხებოდა. ამ პერიოდში მრავალი პოლიტიკური და იმ დროისთვის ცნობილი ჰიმნი დაწერა. 1971 წელს ნინა სიმონემ ამერიკა დატოვა და საფრანგეთში გადავიდა, სადაც თავისი კარიერა განაგრძო. მისივე თქმით, ამერიკიდან FBI-სა (გამოძიების ფედერალური ბიურო) და რასისტებს გამოექცა. ნინა სიმონე 2003 წელს 70 წლის ასაკში პარიზში გარდაიცვალა.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

აცხადებს კონკურსს

საუკეთესო ავტორის გამოსავლენად
2005 წელს კინოს დარგში
გამოქვეყნებული სტატიებისთვის

ავტორებმა უნდა წარმოადგინონ არანაკლებ 7 სტატიისა 2005 წლის 20 დეკემბრამდე

გამარჯვებული ავტორისთვის დაწესებული ჯილდო შეადგენს 500 ლარს

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპირო 4,
ტელ/ფაქსი: 984201
E-mail: office@filmcenter.ge
www.filmcenter.ge

ყურადღება!

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა
დაკარგული სამოთხე''

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

ტელ. 999-207

ნაუტილუსი

- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
  უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

"ნაუტილუსი" აცხადებს მნიშვნელოვან საახალწლო **ფასდაკლებას (25% - 50%)** "წონაში კლების და გაჯანსა-ღების" ახალ პროგრამაზე და ფიტნეს კლუბ "ნაუტილუს"-ში.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge
Web-site: www.nautilus.ge

მარიონეტების თეატრი

10,11,17 და 18 დეკემბერი

"ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"

დამდგმელი რეჟისორი
რეზო გაბრიაძე
სპექტაკლის დასაწყისი
19 საათზე
იოანე შავთელის ქ.№26